პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 140 (9300)

შაბათი 14 ივნისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

სოფლის მეურნეობის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად (1-ლი გვერდი).
სკულპტურული სამუშაოები ვოლგა-დონზე (1-ლი გვერდი).
გარდავაქმნათ პროფკავშირული მუშაობა საკავშირო პროფსაბჭოს მითითებათა საფუძველზე (მე-2 გვერდი).
ლითონის ეკონომიისათვის მებრძოლნი (მე-2 გვერდი).
საკვლევი უარყოფს (მე-2 გვერდი).
წარმოების მუშაკთა და მეცნიერთა მემოკავშირეობითი თანამეგობრობა (მე-2 გვერდი).
დ. ლორთქიფანიძე — დიდი [illegible] (მე-3 გვერდი).
გოგი და ბამოჩენილი მოლვაწე (მე-3 გვერდი).
რით აიხსნება დაბალი [illegible] (მე-3 გვერდი).
წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).
ულეხლეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სოფლის მეურნეობის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა

თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩასაბარებლად მზადების საქმეში გადამწყვეტი პერიოდი დადგა. მალე პურეულის მოსავლის აღება მასობრივად გაჩაღდება.

კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამჟამად ხორციელდება სერიოზული ღონისძიებანი პურეულის მოსავლის აღებისათვის მოსამზადებლად, მაგრამ ბევრ რაიონში ეს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მოსავლის აღებისა და პურის დამზადებისათვის მზადებაში სერიოზული ნაკლოვანებანი აღინიშნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მაისის პლენუმსა და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის ივნისის პლენუმზე.

მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩასაბარებლად სუსტად ემზადებიან სოღნაღის, კაჭრეთის, ხაშურის, გორის, ბორჯომისა და სხვა რაიონებში. კომბაინების რემონტი დღემდე არ დაუმთავრებიათ თეძამის, კასპის, ავრალოს, წალკისა და დმანისის მტს-ებს. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პარტიული, სამეურნეო ორგანიზაციები მოვალენი არიან სწრაფად და უაღრესად გულდასმით მოამზადონ მოსავლის ასაღები მთელი ტექნიკა და პირველ რიგში კომბაინები. კომბაინი მოსავლის ასაღები მთავარი მანქანაა და იგი დიდძალი დანაკარგისაგან გვიცავს. **„განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს,—გვასწავლის დიდი სტალინი, —კომბაინებსა და კომბაინერებს. თქვენ იცით, რომ ყველაზე პასუხსაგები საქმე მარცვლეულის მეურნეობაში მოსავლის აღებაა. მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. დროზე აიღებ—მოიგებ, დაგვიანებ მოსავლის აღებას—წააგებ. კომბაინის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვეხმარება დროზე ავიღოთ მოსავალი. ეს ფრიად დიდი და სერიოზული საქმეა...**

მაგრამ კომბაინის მნიშვნელობა ამით არ განისაზღვრება. მისი მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იგი დიდძალი დანაკარგისაგან გვიცავს“.

კომბაინების სრული დატვირთვით, მაღალნაყოფიერად გამოყენება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მოსავლის აღების წარმატებას, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის სწრაფად შესრულებას. პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მტს-ების სამმართველო ვალდებული არიან მოსავლის აღებისას უზრუნველყონ კომბაინების შეუფერხებელი მუშაობა, აღკვეთონ მანქანების გაცდენა.

ყველა საქმის წარმატებას ადამიანები, კადრები წყვეტენ. ამიტომ კომბაინის აგრეგატის დროულად დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური კომბაინერებით, გამოცდილი მეშტურვალეებით, თვითეულ აგრეგატზე მუდმივი მომსახურებისათვის კოლმეურნეების მიჩენა მნიშვნელოვანი და პასუხსაგები მომენტია მოსავლის აღებისათვის მზადებაში. ფართოდ უნდა გავავრცელოთ მოწინავე კომბაინერების შესანიშნავი გამოცდილება — საათობრივი გრაფიკით მუშაობა, რაც მნიშვნელოვნად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

პურეულის ასაღებად მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული აგრეთვე მტს-ებისა და კოლმეურნეობების მარტივი ასაღები მანქანები. ამავე დროს სამკალი მანქანების რემონტი არადამაკმაყოფილებელია. ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს სალეწი მანქანების შეკეთება. განსაკუთრებით ჩამორჩა ეს სამუშაო ადიგენის, ახალციხის, ვაჩიანის, ბოგდანოვკის, ასურეთისა და კასპის მტს-ებში. აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება ჩამორჩენის გამოსასწორებლად. პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების გადაუდებელი საქმეა უზრუნველყონ სალეწი მანქანების რემონტის სწრაფად დამთავრება. არ უნდა დავუშვათ, რომ პურეულის აღება და გალეწვა დაშორებული იყოს ერთმანეთისაგან.

წელს საქართველომ შარშანდელზე გაცილებით მეტი პური უნდა დაამზადოს. საჭიროა პურის დამზადება მოეწყოს მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე. ამოცანა ის არის, რომ მოსავლის უდანაკარგოდ აღებასთან ერთად უზრუნველყოთ კოლმეურნეობათა პირველი მცხების შესრულება — სახელმწიფოსათვის პურის დროულად ჩაბარება. ეს პარტიული, საბჭოთა და დამამზადებელი ორგანიზაციებისაგან მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მთელი დამამზადებელი ქსელის მომზადებას მარცვლეულის მიღებისათვის. დამამზადებელი აპარატის მუშაკთა მხრივ ეს მზრუნველობა ჯერჯერობით არა ჩანს. „ზაგოტზერნო“ არადამაკმაყოფილებლად ეწევა მარცვლეულის საწყობების მშენებლობას და ახალი მოსავლის პურის მისაღებად ტექნიკური ბაზის მომზადებას. ცუდი მდგომარეობაა ახალი საწყობების აშენებისა და ძველი საწყობების კაპიტალური რემონტის მხრივ. მნიშვნელოვან დაჩქარებას მოითხოვს საწყობების მშენებლობა მცხეთის, თიანეთის, კასპის, თელავის, გურჯაანის, ყვარლისა და გორის რაიონებში. „ზოგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის მმართველი ამბ. წულაია ვალდებულია ახლებურად გარდაქმნას მუშაობა, გამოასწოროს ნაკლოვანებანი და დააჩქაროს მარცვლეულის საწყობების მშენებლობა და რემონტი.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ პურის დამზადების გეგმა ჩვენმა რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულოს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. მგელაძემ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის მაისის პლენუმზე აღნიშნა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, განსაკუთრებით თბილისის საოლქო პარტიული ორგანიზაცია, ვალდებული არიან მთელი თავისი ყურადღება მიაქციონ იმას, რომ პური აიღონ დროზე და უდანაკარგოდ, სწრაფად, ვადამდე შეასრულონ პურის დამზადების გეგმა.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ სოფლის მეურნეობაში დაშვებული უხეში შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოასასწორებლად. სოფლის მშრომელები ენერგიულად მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასაადიდებლად, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის. სოფლად დიდი შრომითი აღმავლობაა. საქართველოს კოლმეურნე გლეხობა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ წითელწყაროელთა პატრიოტულ მოწოდებას — მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება თავთავიან კულტურათა დროულად, უდანაკარგოდ აღებისათვის, პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. მათ კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს და შეუდგნენ მათს შესრულებას. პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს თაოსნობას, ხელი შეუწყონ სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლას, მიაღწიონ იმას, რომ შეჯიბრების თვითეულმა მონაწილე კოლმეურნემ, მექანიზატორმა და სპეციალისტმა წარმატებით გაანაღდოს თავისი ვალდებულება. მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსავლის აღების დღეებში მათ უნდა გადაიტანონ მინდვრად—მტს-ების სატრაქტორო ბრიგადებში, კომბაინების აგრეგატებში, საკოლმეურნეო საწარმოო ბრიგადებში, კოლმეურნეობების კალოებზე, სადაც უხვი მოსავლის მიღების ბედი საბოლოოდ წყდება, და დარაზმან მასები მოსავლის აღებასა და პურის დამზადებისათვის მზადებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისათვის მზადების დარჩენილ სამუშაოთა უსწრაფესი დამთავრება, პურეულის უმოკლეს ვადებში და უდანაკარგოდ აღება, პურის დამზადების გეგმის დროულად შესრულება ყველა პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების და სოფლის მშრომელთა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა.

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყაზანლიყის ვარდის დამზადების სახელმწიფო გეგმა

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ყაზანლიყის ვარდის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 50 ცენტნერი ყაზანლიყის ვარდი.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყაზანლიყის ვარდის დამზადების სახელმწიფო გეგმა

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყაზანლიყის ვარდის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

ყაზანლიყის ვარდის დამზადება გრძელდება.

ჩვენს რესპუბლიკაში

★

სანაოსნო გზით ბათუმიდან მოსკოვამდე

ბათუმი, 13 ივნისი. (საქდესი). შავი ზღვით სამგზავრო მიმოსვლა გადაყვანილია საზაფხულო განრიგზე. ბათუმში ახალი განრიგით მოვიდა თბომავალი „უკრაინა“, რომელიც თბომავალ „გრუზიასთან“, დიზელელექტრომავალ „როსიასთან“ და სხვა გემებთან ერთად მომსახურებას უწევს ყირიმ-კავკასიის საექსპრესო სამგზავრო ხაზს. რეისი ოდესიდან ბათუმამდე და უკან ნავსადგურებში შესვლით გრძელდება შვიდნახევარი დღეღამე. ჩინებულად მოწყობილ საზღვაო ექსპრესებზე ყველა პირობაა შექმნილი მგზავრების სრულფასოვანი დასვენებისათვის. აქ არის საკონცერტო დარბაზები, ბიბლიოთეკები, წიგნის კიოსკები, კინო. მგზავრებს მომსახურებას უწევენ კარგად მოწყობილი რესტორანები, ბუფეტები, აბაზანები, საშხაპეები, საბანაო აუზები.

ზაფხულის განმავლობაში დაწესებულია ჩქარი სამგზავრო ხაზები ოდესა-სოჭი და ბათუმი-ყდანოვი.

ვოლგა-დონის არხზე ორმხრივი მიმოსვლის გახსნასთან დაკავშირებით შესაძლებელია სანაოსნო გზით ბათუმიდან მოსკოვს მგზავრობა. ბათუმის საზღვაო ვაგზალმა 1952 წლის სანაოსნო სეზონისათვის მიიღო ვოლგა-დონის სამდინარო სანაოსნო სამმართველოს სატვირთო-სამგზავრო ორთქლთბომავლების მიმოსვლის განრიგი. მგზავრები, რომლებსაც სურთ იმგზავრონ სანაოსნო გზით ბათუმიდან მოსკოვამდე, თბომავლებით ჩავლენ ყდანოვში პირდაპირი რეისით და შემდეგ გადასხდებიან როსტოვში მიმავალ გემებზე, საიდანაც სამდინარო ორთქლთბომავლებით გაემგზავრებიან მოსკოვს მდინარე დონით, ვოლგა-დონის არხით, ვოლგით და მოსკოვის სახელობის არხით.

დაიწყო ახალი მოსავლის თამბაქოს შეჯეხა

აჭარის მეთამბაქოობის მეურნეობებში დაიწყო თამბაქოს შეტეხა.

ახალი მოსავლის თამბაქოს აღებას პირველი შეუდგა ბათუმის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა.

მეთამბაქოეებმა გამოიყვანეს მაგარი, საღი ჩითილი, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დარგეს იგი, უზრუნველყვეს მცენარის სანიმუშო მოვლა. ამის შედეგად თამბაქოს ფოთოლმა აქ ტექნიკურ სიმწიფეს მიაღწია უფრო ადრე, ვიდრე მეზობელ კოლმეურნეობებში. პირველსავე დღეს კოლმეურნეებმა შეტეხეს და ანემსეს 300 ზონარმეტრი თამბაქო. (საქდესი).

97.000 ფრთა წიწილა

თელავი. (საკ. კორ.). თელავის მეფრინველეობის სარაიონთაშორისო საინკუბატორო სადგურმა წელს საგრძნობლად გაუმჯობესა მუშაობა, ნაცვლად შარშან გამოჩეკილი 25.000-ისა წელს 97.000 ფრთა წიწილა გამოიყვანა. აქედან თელავის რაიონის კოლმეურნეობებს გადაეცათ 23.000 ფრთა წიწილა, ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებს—20.400 და ა. შ. თელავის რაიონის ზოგმა კოლმეურნეობამ 1.500-2.000 ფრთა წიწილა მიიღო. ასევე დიდი რაოდენობით წაიყვანეს მოსაშენებლად წიწილები ახმეტის რაიონის ზემო და ქვემო ალვანის კოლმეურნეობებმა.

წელს კოლმეურნეობებში საინკუბატორო სადგურიდან წაყვანილ წიწილებს კარგად უვლიან.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა. სურათზე: საწარმოს მოწინავე სტახანოველები, ამწყობი-ზეინკალი ირტემ ბენდიანიშვილი (მარჯვნივ) და ხარატი ბავლე ზუბრიცკი, რომლებიც ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებენ. ახლინ მაღალნაყოფიერად მუშაობენ ხახარატო ჩარხების დამზადებაზე, რომლებიც კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობებს ეგზავნებათ.

ფოტო რ. ბაოფოვისა.

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით

სამტრედია. (საკ. კორ.). რკინიგზის კვანძის საწარმოთა კოლექტივები ენერგიულად შრომობენ რკინიგზელის სტალინური დღის ღირსეული შეხვედრისათვის. სამტრედიელმა მევაგონეებმა მთლიანად შეასრულეს ვაგონების კაპიტალური, საშუალო და წლიური შეკეთების მაისის გეგმა. შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ზეინკლები ტ. ჭანტურია და კ. ჯანელიძე, დურგლები მ. გაგუა და ე. მიქელთაძე, მექვაბე ო. რუხაძე, მღებავი ვ. რუხაძე, შემდუღებელი ბ. ნანაძე და სხვები, რომლებმაც მაისის გეგმა 182-363 პროცენტით შეასრულეს.

მაისში მაღალნაყოფიერად იმუშავეს საორთქლმავლო დეპოს ლუნინელმა მემანქანეებმა ნ. ფოცხვერიამ, ი. ჩიტიამ, ს. ხაჟალიამ, ვ. ბზეკალავამ და მ. კოხრეიძემ. მათ ნორმის გადამეტებით ასობით ტონა ტვირთი გადაზიდეს და დიდი რაოდენობით დაზოგეს სათბობი.

შორაპნელ მეორთქლმავლეთა წარმატება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). შორაპნის საორთქლმავლო დეპომ მაისში ორთქლმავლების სადღეღამისო გარბენის გეგმა წარმატებით შეასრულა, ტექნიკური სიჩქარე გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით საათში 2,7 კილომეტრით გაადიდა, გარეცხვითი შეკეთებიდან 20 ორთქლმავლის ნაცვლად 24 გამოუშვა, დაზოგა 58,8 ტონა საწვავ-საცხები მასალა, გეგმის გადამეტებით გადაიყვანა 4 მძიმეწონიანი მატარებელი და ათეულ ათასობით მანეთის ეკონომია გასწია.

დეპოში ფართოდ გაჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად. შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ცალკეულ ორთქლმავალთა გუნდები და მემანქანეები. ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში ყველაზე მეტად ისახელეს თავი უფროსმა მემანქანეებმა გ. თურმანიძემ, ი. კვინიკაძემ და სხვ.

შორაპნელი მეორთქლმავლეები წარმატებით განაგრძობენ მუშაობას ივნისშიც, დღითიდღე აძლიერებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა საამაყო მაჩვენებლებით შეხვდნენ რკინიგზელის სტალინურ დღეს.

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). რკინიგზის ხარაგოულის სადგურის კოლექტივი ეჯიბრება ქარელის სადგურს. ხარაგოულელმა რკინიგზელებმა მაისში ვაგონების დატვირთვის გეგმა 150 პროცენტით შეასრულეს, ხოლო გადმოტვირთვისა — 137 პროცენტით, ვაგონების დგომის დრო კი ნორმით გათვალისწინებულთან შედარებით 8,6 საათით შეამცირეს.

სადგურის კოლექტივი უფრო მეტი წარმატებით მუშაობს ივნისში. ივნისის პირველ შვიდ დღეში გადმოტვირთვის გეგმა განაღდდა 335,7 პროცენტით, ხოლო დატვირთვისა — 150 პროცენტით.

მგზავრთა კულტურული მომსახურების უზრუნველსაყოფად შეაკეთეს სადგურის მოსაცდელი დარბაზი, დადგეს ახალი სკამები, მოაასფალტეს ბაქანი და სხვ.

შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას წარმატებით ანაღდებს ახალგაზრდულ-კომკავშირული ცვლა, რომელსაც სადგურის მორიგე შ. მაღრაძე ხელმძღვანელობს. მოწინავეთა რიგებში არიან კომკავშირელები — ვაგონების გადამბმელი მ. ბუაჩიძე, მეისრე ა. ლურსმანაშვილი და სხვები.

კიდევ ერთი ფაბრიკა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ამას წინათ ამუშავდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ჩაის ახალი ფაბრიკა, რომელიც მომსახურებას გაუწევს ორჯონიკიძის, ჯიხასკარის, ჭაქვინჯის, გრიგოლიშისა და ზედა ეწერის წაბოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებს.

ფაბრიკაში უკვე შეუდგნენ ახალი მოსავლის ჩაის ფოთლის მიღებას.

სკულპტურული სამუშაოები ვოლგა-დონზე

დონის ქალაჩი, 11 ივნისი. (საქდესი). ვოლგა-დონის სანაოსნო გზის მთელ მანძილზე — კრასნოარმეისკიდან მუშათა დაბა ციმლიანსკამდე მთავრდება მხატვრული გაფორმების სამუშაოები. რაბებზე, კაშხალებსა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე მოქანდაკე გ. მოტოვილოვის ხელმძღვანელობით იდგმება ქანდაკებანი და აკროტერიები.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მოქანდაკემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა გ. ი. მოტოვილოვმა განაცხადა:

— არხი კომუნიზმის ეპოქის ღირსი, შესანიშნავი ჰიდროტექნიკური ნაგებობაა. ჩვენი ქვეყნის მოქანდაკეთა წინაშე დასახულია ამოცანა—იგი ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოები გახადონ.

მშენებლობაზე ჩამოვიდა არქიტექტორთა ჯგუფი ამბ. ვოლკოვის, სმირნოვის, მელნიკოვას და კხორეს შემადგენლობით. ახლა ისინი დგამენ რელიეფებს, აკროტერიებს, ატიკებსა და სხვ.

ამას წინათ არხში ვოლგის შესასვლელთან მოქანდაკის, სტალინური პრემიის ლაურეატის ე. ვ. ვუჩეტიჩის ხელმძღვანელობით დაიდგა კომუნიზმის ხუროთმოძღვრის ი. ბ. სტალინის დიდებული მონუმენტი. ახლა მთავრდება კვარცხლბეკის მოპირკეთება, წარმოებს ცოკოლებზე ფილების დაგება. უახლოეს დღეებში ეს სამუშაოები მთლიანად დამთავრდება.

მე-15 რაბზე, რომელიც ვოლგა-დონის სანაოსნო გზის დონის მხარეზეა, იდგმება ჯალხზე ამდგარ ცხენებზე მჯდომი კაზაკების გიგანტური 10-მეტრიანი ქანდაკებანი. ისინი თავისი ზომით ერთი მესამედით სჭარბობენ პეტრე 1-ლის ცნობილ ძეგლს ლენინგრადში.

მე-13 რაბის რაიონში დიდი სამამულო ომის წლებში მოხდა ღირსშესანიშნავი შეხვედრა სტალინგრადისა და სამხრეთ-დასავლეთი ფრონტების ჯარებისა, რომლებმაც შეკრეს რკალი სტალინგრადთან მდგომი ჰიტლერელთა ურდოების გარშემო. ამ დიდი მოვლენის აღსანიშნავად მე-13 რაბზე დადგმულია ტრიუმფალური თაღი. ახლა მოქანდაკეთა ჯგუფი მას ამშვენებს უზარმაზარი რელიეფებით, რომლებიც აღნიშნავენ საბჭოთა ხალხის დიდ მხედრულ საგმირო საქმეებს. რელიეფები თაღზე დაიკავებენ 180 კვადრატულ მეტრ ფართობს. მარცხენა და მარჯვენა რელიეფი უკვე აწყობილია. უახლოეს დღეებში დაიწყება ატიკის აწყობა. ცენტრალურ დაფას ექნება საზეიმო წარწერა. დაფის ორივე მხარეზე გამოსახული იქნება ალმები და იარაღი. რაბის ზემო მხადგომის შენობას აგვირგვინებს ვარაყიანი თუჯისაგან გაკეთებული 8 სკულპტურული მორთულობა.

ვოლგა-დონის სანაოსნო გზის ნაგებობებზე იქნება 11 მონუმენტური სკულპტურული ჯგუფი.

არხზე ფართო მასშტაბით ხორციელდება არქიტექტურისა და ქანდაკების სინთეზი. ამასთან ქანდაკება ვოლგა-დონზე არქიტექტურის განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამიტომ პროექტებდნენ მას არქიტექტურასთან ერთად.

ახალი ტექნიკა სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხანაში

სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის საამქროებში ამუშავდა ახალი მძლავრი უნივერსალური ჩარხები. საწარმოს სპეციალისტების ნახაზების მიხედვით აგებული ეს ჩარხები მაღალი წარმადობით და ზუსტი მუშაობით განირჩევიან. ერთ-ერთი ასეთი აგრეგატით შეიძლება რთული სპირალურ-კონუსური კბილანები დამუშავებულ იქნას ერთ მიკრონამდე სიზუსტით. ამს წინათ აქ დადგმული უნიკალური ბულდოზერის საშუალებით მთლიანად მექანიზებულია მაცივრის კარკასების დამზადება. ამ მანქანის მეოხებით ნახევარფაბრიკატთა გამოშვება თითქმის ერთიასად გადიდდა, ხოლო კარკასის თვითღირებულება 40-ჯერ შემცირდა.

ახალმა ტექნიკამ, რომელიც ფართოდ ინერგება საწარმოში, მნიშვნელოვნად შეამცირა შრომის ხარჯვა სამსხმელო, სამეჭედლო, მექანიკურ საამქროებში, კონვეიერულ ხაზებზე. სამსხმელო საამქროებში დანერგილია ღერძების დასამზადებელი მანქანები. ამის მეოხებით შესაძლო გახდა ოპერაციის შრომატევადობის ორნახევარჯერ-სამჯერ შემცირება. სხმულის გასაწმენდი კამერების საექსპლოატაციოდ გადაცემამ 50 პროცენტით შეამცირა შრომის ხარჯვა. წარმოებაში ინერგება პნევმატურსაჭერიანი გაუმჯობესებული მოწყობილობა და მაგარი საჭრელი ინსტრუმენტები. „ზის-150“ სატვირთო მანქანის კაბინის ვკანძების შესადუღებლად ქარხნის კოლექტივის ძალებით დაპროექტებული და აგებულია სპეციალური მრავალჩარხიანი შემდუღებელი მანქანები ჰიდრავლიკური მართვით. ამ ნახევარავტომატების გამოყენებამ შეამსუბუქა სტახანოველთა შრომა და ერთისამად და მეტად დაჩქარა შედუღების პროცესი. (საკდესი).

ნაოსნობა ვოლგა-დონზე

დონის ქალაჩი (სტალინგრადის ოლქი), 12 ივნისი. (საკდესი). ვალაჩის ნავსადგურში ვოლგის მხრიდან, 13 რაბის გავლით, უკვე ჩამოვიდა გემების 7 ქარავანი და თბომავალი „ბტ 306“. მათ ნავსადგურში ჩამოიყვანეს დებარკადერები, რომლებიც ციმლიანსკის ზღვით მალე გაიგზავნება მელეხოვის, სუმიკარაკორსკაიას, ციმლიანსკისა და სხვა ნავმისადგომებისათვის.

აქვე მისაბმელებთან დგას „მოსკვიჩის“ ტიპის ათამდე ახალთახალი გემი.

დღეს ვალაჩის ნავსადგურიდან ვოლგაში პირველად გავიდა სამი საბუქსირო თბომავალი ახალი ქარავნების წამოსაყვანად.

გემ-მისადგომი ჟუიბიშევჰიდრომშენისათვის

ლენინგრადი, 12 ივნისი. (საკდესი). ლენინგრადის გემთმშენებლობის ინსტიტუტის მეცნიერებმა „გიპრორეჩტრანსის“ კოლექტივთან ერთად კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის დააპროექტეს მექანიზებული გემ-მისადგომი. ეს ნაგებობა საშუალებას იძლევა დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები წარმოებულ იქნას ნაპირის ყოველ ადგილას. გემ-მისადგომს აქვს სპეციალური ხიდები ტვირთის გადასაზიდავად და ამწეები გადმოტვირთვის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად. გემ-მისადგომზე თავისუფლად მობრუნდებიან ყველაზე მძლავრი თვითდასაცლელი ავტომანქანები.

ინსტიტუტში შემუშავებულია აგრეთვე თვითდასაცლელი საბუქსირო კარჭაპის კონსტრუქცია. ქვის, ქვიშისა და სხვა მასალის გადმოტვირთვა და გადატვირთვა ამ კარჭაპზე უმუშევბოდ ხორციელდება.

ორივე პროექტი გადაეცა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს.

გაიხსნა სანაოსნო საფვირთო მოძრაობა მოსკოვ-დონის როსტოვის ხაზზე

12 ივნისს გაიხსნა პირდაპირი სატვირთო მოძრაობა მოსკოვ-დონის როსტოვის სანაოსნო ხაზზე.

მოსკოვის ჩრდილოეთ ნავსადგურიდან ამ 3.267 კილომეტრი სიგრძის მარშრუტით წავიდა კარჭაპი № 2091. მოსკოვის სახელობის არხით კარჭაპი მიჰყავს საბუქსირო გაზმავალს. ბარჟის ტრიუმებშია 415 ტონა შუშის ტარა, განკუთვნილი როსტოვის საკონსერვო ქარხანა „სმიჩკისა“ და აქსაის (დონის როსტოვის მახლობლად) საკონსერვო ქარხნისათვის. (საკდესი).

მარტვილის რაიონის კოლმეურნეობებმა ადრეულ ბოსტნეულთა ნაადრევი ნაყოფიერებისა

ბოსტნეულთა ადრეული ნაადრევი ნაყოფიერებისა

ბოსტნეულთა ადრეული ნაადრევი ნაყოფიერებისა

გარდავქმნათ პროფკავშირული მუშაობა საკავშირო პროფსაბჭოს მითითებათა საფუძველზე

10-11 ივნისს შრომის სასახლის კლუბში მოწვეული იყო პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს IV პლენუმი. პლენუმმა მოისმინა პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ი. კოპლამაზაშვილის** მოხსენება „პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის შესახებ“ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 14 მარტის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებზე.

ლენინ-სტალინის გმირული პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, — ამბობს მომხსენებელი, — ჩვენმა ქვეყანამ ახალი გამარჯვებები მოიპოვა კომუნიზმის მშენებლობაში. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის სასახელოდ შესრულების შემდეგ წარმატებით განხორციელდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლისა და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები. საბჭოთა ეკონომიკის მიღწევების საფუძველზე განუხრელად მაღლდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა და კულტურა.

მნიშვნელოვანია პროფესიული ორგანიზაციების როლი კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის მასების მობილიზაციის საქმეში. როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 14 მარტს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის ანგარიში საქართველოს მეორე საკავშირთაშორისო კონფერენციის შემდეგ, რომელიც გასული წლის თებერვალში იყო მოწვეული, და მიიღო სათანადო დადგენილება. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პროფორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა რამდენადმე გაუმჯობესეს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა, მაგრამ ამასთან ერთად პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობისა და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების საქმეში.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ზომებს იღებს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. პროფსაბჭოს მეორე კვარტალის სამუშაო გეგმა შემუშავებულია ზემოაღნიშნული დადგენილების შესრულების ამოცანებისადმი სრული შესაბამისობით, რის შედეგად ადგილობრივი პროფორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ნაწილობრივ გამოსწორებულია. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების დროზე და მთლიანად შესრულებას, რომ ბრძოლა მისი განხორციელებისათვის კიდევ არ გამხდარა ძირითადი ამოცანა პროფსაბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების მუშაობაში.

მთელი რიგი საწარმოებისა და მშენებლობების მუშა-მოსამსახურეთა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებები ჯერ კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებენ, არ სცილდებიან შეჯიბრებულთა სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებს: ზოგ საწარმოში და მშენებლობაზე სოციალისტურ ვალდებულებას იღებენ ახალი ტექნიკის დანერგვისა და ათვისების, მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდის გაუთვალისწინებლად. ასეთი ვალდებულებანი არ იძლევიან შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირების სტიმულს.

ნოვატორთა მუშაობის გამოცდილების პოპულარიზაციისა და დანერგვის საქმეში ერთგვარი წარმატების მიუხედავად, მრავალ საწარმოში და მშენებლობებზე ნოვატორთა შრომის მოწინავე მეთოდების განზოგადებისა და გავრცელების საქმე დაყენებულია არადამაკმაყოფილებლად. ეს პირველ რიგში იმით უნდა აიხსნას, რომ ზოგიერთი სამინისტრო, ტრესტები და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები სუსტად ნერგავენ მოწინავეთა მუშაობის გამოცდილებას. თვით პროფსაბჭოს, რომელმაც შარშან და მიმდინარე წლის დასაწყისში რამდენიმე თვალსაჩინო ღონისძიება განახორციელა წარმოების ნოვატორთა გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის, ეს ღონისძიებანი მარტიდან აღარ განუხორციელებია.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, — განაგრძობს მომხსენებელი, — აღნიშნა, რომ პროფსაბჭო, პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები და პროფორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საკითხებზე. ეს შეფასება სავსებით სწორია. პროფსაბჭო და რესპუბლიკური კომიტეტები არ იცნობენ უწყებების საბინაო ფონდს, სუსტად უწევენ კონტროლს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას. სამინისტროებსა და უწყებებს დიდი ჩამორჩენა აქვთ საბინაო მშენებლობაში. მთელი რიგი სახლები ძალიან დაბალხარისხოვნად შენდება. ზოგიერთი სახლის მშენებლობა წლობით ჭიანურდება. მუშათა საერთო საცხოვრებლები ბევრგან აღჭურვილი არ არის საჭირო ინვენტარით. პროფსაბჭოს ბრალი მიუძღვის იმაში, რომ ეს საკითხი პრინციპულ სიმაღლეზე არ აიყვანა და არავინ მისცა პასუხისგებაში მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების უგულებელყოფისათვის.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს IV პლენუმზე

მომხსენებელი შეეხო მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საკითხს და აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი ორგანო და მთელ რიგ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები არადამაკმაყოფილებლად ეწევიან მუშაობას დაავადებათა შემცირებისათვის, არადამაკმაყოფილებლად სრულდება სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მშენებლობის ხუთი თვის გეგმა მხოლოდ 37 პროცენტით შეასრულა. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ბევრი ნაკლი აქვთ აგრეთვე ორგანიზაციებს.

მომხსენებელი შეეხო სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, პროფორგანიზაციების სუსტ კონტროლს სავაჭრო ქსელის მუშაობისადმი; აღნიშნა, რომ ვაჭრობის სამინისტრო, სავაჭრო ორგანიზაციებისა და ტრესტების ზოგიერთი მუშაკი ჯერ კიდევ საჭირო პრინციპულობას არ იჩენენ ამ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში. პროფორგანიზაციები სუსტად იყენებენ მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის უფლებას, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ პარტიისა და მთავრობის მიერ.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა პროფკავშირულ ორგანიზაციებში კულტურულ-მასობრივი საქმიანობის დაყენებაზე და განაცხადა, რომ პროფკავშირთა კულტურული დაწესებულებების მუშაობა ჯერ კიდევ ჩამორჩება მუშა-მოსამსახურეთა მზარდი კულტურული მოთხოვნილების დონეს.

და მართლაც, — განაგრძობს მომხსენებელი, — რით უნდა ავხსნათ საწარმოო-მასობრივ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და მუშაობის მთელ რიგ სხვა უბნებზე პროფორგანიზაციების ასეთი თვალსაჩინო ნაკლოვანებანი? საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერმა სტილმა — წარმატებებით გაბრუებამ, ნაკლოვანებებისადმი არაკრიტიკულმა დამოკიდებულებამ, თვითდამშვიდებამ და პარადულმა განწყობილებამ — თავისი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის პროფსაბჭოს, პროფკავშირებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაზეც. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი რესპუბლიკური, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების მუშაობა მეტად არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული და ამაში ბრალი მიუძღვის პროფსაბჭოსაც.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ თბილისის XXI საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში პარტიული ორგანიზაციებისა და სხვა ორგანიზაციების ყურადღება გააამახვილა საწარმოებსა და მშენებლობებზე მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესების აუცილებლობაზე. პროფკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები მოვალენი არიან იბრძოლონ ამ მითითების განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის პროფორგანიზაციებში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ პროფსაბჭოს და ბევრი რესპუბლიკური კომიტეტის მუშაობაში აღმოფხვრილი არ არის უგულებელყოფა და ფორმალიზმის ელემენტები, ძირეული პროფორგანიზაციების საქმიან ხელმძღვანელობას ზოგჯერ ცვლის ქაღალდით „ხელმძღვანელობა“, ნაკლებად სრულდება საერთო კრებებისა და საწარმოო თათბირების მიერ მიღებული დადგენილებები, პროფსაბჭოს და რესპუბლიკური კომიტეტების მუშაკები იშვიათად არიან საწარმოებში, საჭირო დახმარებას ვერ უწევენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს. საერთო კრებებისა და საწარმოო თათბირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება დიდად მეუწყობს ხელს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, მასების აქტივობის გაძლიერებას, ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, ახალ წარმატებათა მოპოვებას.

ჩვენი რესპუბლიკის პროფესიული ორგანიზაციები მტკიცედ იხელმძღვანელებენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებით, საკავშირო პროფსაბჭოს 14 მარტის დადგენილებით და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ფართო მუშაობას გააჩაღებენ თავიანთ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, მჭიდროდ დარაზმავენ მშრომელებს პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა პროფკავშირების წინაშე დასახული ამოცანების სასახელოდ განხორციელებისათვის.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში პირველი გამოვიდა კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ს. მიქელაძე,** რომელმაც აღნიშნა, რომ რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოებში განაღებულია შეჯიბრება მეტი და მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. სამინისტრო ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. მაგრამ ამ საერთო წარმატებების იქით იმალება სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთ საწარმოში ირღვევა შრომის დისციპლინა, ზოგან მოუგვარებელია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები, არ სრულდება საბინაო მშენებლობის გეგმა, ჯეროვან სიმაღლეზე არა დგას პროფკადრების მომზადება. დასასრულს ამხ. მიქელაძემ პროფსაბჭოს პრეზიდიუმისაგან მოითხოვა მეტი ცოცხალი ხელმძღვანელობა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. **ა. ხელიძე** შეეხო მშრომელთა სამედიცინო მომსახურების საკითხს და აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი ორგანო და მთელ რიგ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები არადამაკმაყოფილებლად ეწევიან მუშაობას დაავადებათა შემცირებისათვის, არადამაკმაყოფილებლად სრულდება სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მშენებლობის ხუთი თვის გეგმა მხოლოდ 37 პროცენტით შეასრულა. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ბევრი ნაკლი აქვთ აგრეთვე ორგანიზაციებს.

მომხსენებელი შეეხო სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, პროფორგანიზაციების სუსტ კონტროლს სავაჭრო ქსელის მუშაობისადმი; აღნიშნა, რომ ვაჭრობის სამინისტრო, სავაჭრო ორგანიზაციებისა და ტრესტების ზოგიერთი მუშაკი ჯერ კიდევ საჭირო პრინციპულობას არ იჩენენ ამ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში. პროფორგანიზაციები სუსტად იყენებენ მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის უფლებას, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ პარტიისა და მთავრობის მიერ.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა პროფკავშირულ ორგანიზაციებში კულტურულ-მასობრივი საქმიანობის დაყენებაზე და განაცხადა, რომ პროფკავშირთა კულტურული დაწესებულებების მუშაობა ჯერ კიდევ ჩამორჩება მუშა-მოსამსახურეთა მზარდი კულტურული მოთხოვნილების დონეს.

საფეიქრო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **კ. ცაგარეიშვილი** შეეხო აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში სტახანოველ ც. ღლონტის მუშაობის მეთოდების გავრცელებას და განაცხადა, რომ ამჟამად ამხ. ღლონტის მეთოდი ინერგება რესპუბლიკის ძაფსახვევ ფაბრიკებში.

ნავთის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ფ. გოგუაძ** პლენუმს მოუთხრო, თუ როგორ სრულდება საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქნავთის ტრესტის საწარმოებში და განაცხადა, რომ ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ გრძელდება, სუსტია რაციონალიზატორებისადმი დახმარება. საქნავთის ტრესტი საბინაო მშენებლობას ძირითადად თბილისში აწარმოებს, ხოლო მირზაანის ნავთსაწრეწებზე მუშათა საბინაო პირობები ცუდია. არსებული ბინები კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებენ. სუსტია ნავთსაწრეწების მუშათა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობა, მირზაანის მუშათა კლუბი შესაკეთებელია, მოუგვარებელია კინოსურათების ჩვენება.

ახალციხის შახტსამმართველოს მეორე შახტის მეშახტეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **პ. ალექსანიანმა** უსაყვედურა ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს, აგრეთვე შახტსამმართველოს, რომ ისინი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ახალციხელი მეშახტეებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას, სოციალისტურ შეჯიბრებას.

პლენუმის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა ამიერკავკასიის მეტალურგიმშენის ტრესტის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. **თოდრიას** გამოსვლამ, რომელმაც ტრესტის ხელმძღვანელთა დამცველის როლი იკისრა და განაცხადა, რომ ისეთ დიდ მშენებლობაზე, როგორიც რუსთავში წარმოებს, ნაკლი აუცილებელიაო. მან არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ რა ზომებს იღებს სამშენებლო კომიტეტი საბინაო მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, მშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე კომუნალური მეურნეობის მინისტრი ამხ. **ნ. სუხიაშვილი,** სახვაჭრობისა და საზაკვების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ფ. გეგეშიძე,** ადგილობრივი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ა. ბოჟაძე,** კასპის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ამხ. **ნ. დავითაშვილი,** ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სტახანოველი ამხ. **სხირტლაძე,** მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის სტახანოველი ამხ. **ც. ღლონტი,** ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ა. ჯავახაძე,** ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სტახანოველი ამხ. **ი. გიორგაძე,** საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. **გ. კოსილოვი,** ხორცისა და რძის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ე. ბუაჩიძე.**

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც ასახულია ის ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ პროფკავშირული მუშაობის გარდაქმნა რესპუბლიკის წინაშე მდგომ ახალ ამოცანებთან შეფარდებით.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ.

ღითონის ეკონომიისათვის მებრძოლნი

ბათუმი. (საკ. კორ.). ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა მაგალითისამებრ ბათუმის საწარმოთა კოლექტივები ენერგიულად იბრძვიან ლითონისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის. უკვე მოპოვებულია პირველი წარმატებანი. ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლაში კარგ შედეგებს მიაღწიეს ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა. ქარხნის ათობით სტახანოველი ზეინკალი და ხარატი, მეყალიბე და ჩამომსხმელი ენერგიულად იბრძვის ლითონის ხარჯვის შემცირებისათვის. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატის პ. ზუბრიცკის მაგალითისამებრ აქ ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლა გაჩაღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სახელოვანმა ხარატმა შ. ვადაჭკორიამ, მოწინავე ხარატებმა ა. ბლიუზგინმა, გ. ნესტეროვმა და სხვებმა.

ამხ. შ. ვადაჭკორიამ ერთ-ერთი მანქანის თვითეული დეტალის დამუშავებისას 13 კილოგრამი ლითონი დაზოგა. მან უკვე დაამუშავა 10 ასეთი დეტალი, რაზეც 130 კილოგრამი ლითონის ეკონომია გასწია.

ლითონის მომჭირნეობით ხარჯვის საქმეში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სამსხმელო საამქროს მუშაბმა. მიმდინარე წლის განვლილ ხუთ თვეში მათ ათასობით კილოგრამი ლითონი დაზოგეს.

ბათუმის ბევრ საწარმოში დიდი ყურადღება ექცევა ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის საქმეს. ამ მხრივ მისაბაძია სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ენერგეტიკოსთა მუშაობა. გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით ელექტროენერგიის ეკონომიის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის ქარხანას საქართველოს საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი და 10 ათასი მანეთი ფულადი პრემია მიეკუთვნა. წელს ბათუმელმა მენავთეებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ბრძოლა ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ქარხნის მეხუთე საამქროს ელექტრომეურნეობის გამგემ გ. გაგოშიძემ, ამავე საამქროს პულტის მორიგემ ი. ჯაფელმა, მორიგე ინჟინერმა ი. მგელაძემ, ელექტრომონტიორმა ა. ლეჟავამ, საქვაბეს მექანიკოსმა ნ. კობალავამ და სხვებმა.

ქარხნის ენერგეტიკოსებს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით რესპუბლიკურმა ჟურნალმა კვლავ მეორე ადგილი მიაკუთვნა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფულადი პრემია გადასცა.

გზა მშვიდობისა!

რკინიგზის, ხიდებისა და გვირაბების მშენებელი ინჟინრები, ორთქლმავლებისა და ელმავლების მექანიკოსები, მოძრაობისა და ექსპლოატაციის დარგის სპეციალისტები, დისპეტჩერები, მგეგმავდამპროექტებლები — აი როგორი კადრების სამჭედლოა ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა წელს სამუშაოდ საქართველოდან მოემზა რესპუბლიკებში მიემგზავრება. 267 კაცი შეუდგება მუშაობას რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის ქალაქებსა და ახალ მშენებლობებზე, ქვანახშირის, მძიმე ინდუსტრიისა და მანქანათმშენებლობის საწარმოებში.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა მძიებელ-დამპროექტებელმა ინჟინერმა თეიმურაზ სტურუამ სურვილი განაცხადა სამუშაოდ გაემგზავროს სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროს კრასატორსკის სამშენებლო სამმართველოს სისტემაში. ენაკიევოში სამუშაოდ მიდის კურსდამთავრებული ახალგაზრდა ინჟინერი, კომკავშირული ცლასი მანჯგალაძე.

კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი სადიპლომო შრომების დაცვის შემდეგ იმუშავებს დონბასში. გმირი ქალაქის სტალინგრადის მშენებლობებზე სამუშაოდ მიისწრაფვის რკინიგზების მგეგმავი დამპროექტებელი, კომკავშირელი გივი კალანდაძე. ოთარ ბრეგვაძემ გადაწყვიტა ვოროშილოვგრადში იმუშაოს.

კურსდამთავრებულთა შორის არიან დიდი სამამულო ომის მონაწილენი — რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ქალაქებისა და სოფლების განთავისუფლების მონაწილენი. დღეს ისინი ხალისით მიემგზავრებიან სამუშაოდ ნაცნობ ადგილებში. ორიოლში მიემგზავრება წყალმომარაგების სპეციალისტი, კურსდამთავრებული, დიდი სამამულო ომის მონაწილე ბონდო ხურცილავა. რუსეთში იმუშავებს მისი ყოფილი ფრონტელი ამხანაგი, ახალგაზრდა ინჟინერი შოთა მაკარაშვილი.

ლრმა პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის გრძნობით მოისწრაფვიან ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტები მოძმე რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის რესპუბლიკათა უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე და რკინიგზის ტრანსპორტზე სამუშაოდ.

გზა მშვიდობისა, ახალგაზრდებო!

ქ. ლოლაძე.

საკდესი უარყოფს

იაპონური პრესა იმოწმებს ცნობებს, რომლებიც მიღებულია იაპონიის პარლამენტის წევრის ქ-ნ ტომი კორასაგან, რომელმაც ამას წინათ იმგზავრა სსრ კავშირში, და ავრცელებს ცნობებს, თითქოს იმ ინფორმაციის მიხედვით, რაც ტომი კორას აქვს, საბჭოთა კავშირი იაპონიასთან სეპარატული საზავო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში მზად არის დააბრუნოს 182 ათასი იაპონელი სამხედრო ტყვე, რომლებიც თითქოს სსრ კავშირში იმყოფებიან.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ასეთი ცნობები მთლიანად მოჭორილია.

სსრ კავშირში ქ-ნ ტომი კორას ყოფნის დროს არავითარი მოლაპარაკება არც იაპონიასთან სეპარატული საზავო ხელშეკრულების შესახებ და არც იაპონელ სამხედრო ტყვეთა საკითხზე არ ყოფილა.

იაპონურ პრესაში გავრცელებული ხმები სსრ კავშირში 182 ათასი იაპონელი სამხედრო ტყვის ყოფნის შესახებ წარმოადგენს მრავალთაგან ერთ-ერთ ცდას — შეცდომაში შეიყვანონ იაპონიის საზოგადოებრივი აზრი. როგორც საბჭოთა კავშირის ოფიციალურად გამოქვეყნებული ცნობებიდან ჩანს, სსრ კავშირში დარჩა არარეპატრიირებული მხოლოდ 1.487 იაპონელი სამხედრო ტყვე, რომლებიც მსჯავრდადებული არიან მათ მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულისათვის.

წარმოების მუშაკთა და მეცნიერთა შემოქმედებითი თანამეგობრობა

საუბარი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის დირექტორთან, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ, პროფ. ფ. თავაძესთან

მრავალფეროვან მეცნიერულ მუშაობას აწარმოებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი როგორც ადგილობრივი მეტალურგიული ნედლეულის გამოვლინების, ისე ახალ შენადნობთა შესწავლისა და წარმოებაში დანერგვის, სასარგებლო წიაღისეულთა მოპოვებისა და გადამუშავების რაციონალური მეთოდების შემუშავების დარგში.

ინსტიტუტი დაკავშირებულია რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებთან და მათთან 30-მდე ორმხრივი სამეურნეო ხელშეკრულება აქვს დადებული. ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ენერგიულად მუშაობენ ახალ ლითონთა და შენადნობთა მიღებისათვის, მათი დამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის.

ინსტიტუტმა შეისწავლა საქართველოს ქვანახშირის შახტების ვენტილაციის რეჟიმი, ამ საქმეში მნიშვნელოვანი დეფექტები გამოავლინა და შეიმუშავა სათანადო ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად. ამის შედეგად ტყვარჩელის სტალინის სახელობისა და ბერიას სახელობის შახტებში მკვეთრად გაუმჯობესდა ვენტილაციის რეჟიმი. ტყიბულქვანახშირის ტრესტის მუშაკთა თხოვნით ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა შეამოწმეს ლენინის სახელობის შახტის მთავარი ვენტილატორი და განახორციელეს ღონისძიებანი მისი ექსპლოატაციის რეჟიმის დადგენისათვის.

ამჟამად ინსტიტუტში მუშავდება ახალციხის მურა ნახშირის საბადოს მბურცავი ქანების პირობებში ლითონის სამაგრების გამოყენების საკითხი. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა დიდად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და მკვეთრად შეამცირებს გამოღებული ქვანახშირის თვითღირებულებას.

ინსტიტუტის კოლექტივმა ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში შეძლო გადაეწყვიტა ისეთი დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პრობლემა, როგორიც არის ტყიბულის ლიპტობიოლითური ფიქალების კომპლექსური გამოყენება. ამ დიდი სამუშაოს საქარხნო მასშტაბით შესასრულებლად საჭირო გახდა 300 ტონაზე მეტი სამრეწველო სინჯის აღება, რომლებიც გამოიცადა ინსტიტუტის ლაბორატორიებსა და განყოფილებებში, აგრეთვე ლენინგრადის ფიქალგადამამუშავების სამეცნიერო ინსტიტუტის 4-ტონიან გენერატორზე და ესტონეთის ცნობილ ფიქალგადამამუშავებელ კომბინატში. საწარმოო პირობებში გამოცდამ ფრიად დადებითი შედეგები მოგვცა. შესრულებულ სამუშაოთა შედეგად დადგენილია ერთი მხრივ ფიქალების ამოღების რენტაბელობა, ხოლო მეორე მხრივ ამ ფიქალებიდან სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გაზების გამომუშავების შესაძლებლობა. კვლევითი მუშაობით აგრეთვე დადგენილია, რომ ფიქალების გაზიფიკაციის შედეგად დარჩენილი ნაცრებიდან შეიძლება მივიღოთ სახალხო მეურნეობისათვის მეტად საჭირო მასალები.

დიდი მუშაობა გასწია ინსტიტუტმა აგრეთვე ღარიბი მადნების მეტალურგიაში დანერგვის მიზნით. დადგენილია, რომ გადასამუშავებელი თუჯის კაზმში ჭიათურის მანგანუმის მადნის ღარიბი მადნებით შეცვლისას უმჯობესდება დნობის პროცესი და მთელი ტექნოლოგიური ციკლი. ამჟამად ღარიბი მადნების სამრეწველო გამოყენება წარმატებით მიმდინარეობს ისეთ დიდ მეტალურგიულ ქარხნებში, როგორიც კრასატორსკისა და ჟდანოვის მეტალურგიული ქარხნებია.

ორმხრივი ხელშეკრულების განხორციელების საფუძველზე ინსტიტუტის კოლექტივმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისათვის გამოიკვლია მრავალმანგანუმიანი წიდებისაგან ხარისხოვანი წიდაცემენტების დამზადების შესაძლებლობანი. ქარხანა „დაზგამ“ ინსტიტუტის მიერ დადგენილი ტექნოლოგიის საფუძველზე აითვისა ანტიფრიქციული თუჯის ჩამოსხმა. ავჭალის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში დადგმულია მოდიფიცირებული თუჯების ჩამოსხმის ასათვისებლად დაპროექტებული გამახურებელი მოწყობილობა მცირეზომიანი ბოვისათვის, რამაც დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და მკვეთრად შეამცირა დამხმარე მუშახელის რაოდენობა. აქვე ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დახმარებით აითვისეს თუჯის დეტალების ჩამოსხმა მუდმივ ყალიბებში. ქარხანაში მოეწყო სპეციალური საამქრო ფასონური დეტალების მუდმივ ყალიბებში ჩამოსასხმელად. ასეთმა ღონისძიებამ გაზარდა სამსხმელო საამქროს წარმადობა და აამაღლა სხმული დეტალების ხარისხი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ინსტიტუტის სამთო განყოფილებაში შესრულებული სამუშაო, რომელიც საშახტე ამწეს ავტომატიზაციის სრული სქემის დამუშავებას და სწრაფმოქმედი მუხრუჭის გამოცდას შეეხება. წარმოებულმა ცდებმა საუკეთესო შედეგები მოგვცა. ახლო ხანში ეს მექანიზმი ფართოდ დაინერგება დონბასისა და საქართველოს შახტებში.

ამჟამად ინსტიტუტი ამუშავებს დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის თემას: „ტყიბულის ქვანახშირის საბადოს დამუშავების რაციონალური მეთოდის შერჩევა ჰიდრავლიკური ვსების დროს“.

აღნიშნულ სამუშაოთა შესრულების გარდა, ინსტიტუტის მუშაკებს მჭიდრო კავშირი აქვთ რესპუბლიკის სამრეწველო ობიექტებთან და მუდმივ დახმარებას უწევენ მათ ლექციების წაკითხვით, კონსულტაციების, ცალკეული გამოკვლევებისა და სხვ. სახით მარტო გასულ წელს ინსტიტუტის სამეცნიერო ძალებმა სხვადასხვა საწარმოში 40-ზე მეტი ქიმიური ტექნიკური ღონისძიება განახორციელეს. ინსტიტუტს 13 მეცნიერი კორესპონდენტი ჰყავს ისეთ სამრეწველო ობიექტებზე, როგორიც არის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, ჭიათურის მანგანუმის საბადო, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა და სხვ. მეცნიერი კორესპონდენტები თავიანთ საწარმოებში ნაყოფიერ პრაქტიკულ სამეცნიერო საქმიანობას ეწევიან და ამასთან ინსტიტუტის ხელმძღვანელობით ამუშავებენ სადისერტაციო შრომებს.

ინსტიტუტის სამეცნიერო ძალები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. წარმოებისა და მეცნიერების მუშაკთა შემოქმედებითს თანამეგობრობაში ეხლოლდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული. ისინი უფრო მეტი ენერგიითა და მონდომებით იმუშავებენ სოციალისტური მრეწველობის მუშაკებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით მოწინავე საბჭოთა მეცნიერების შემდგომი აღმავლობისა და წინსვლისათვის.

მეაბრეშუმეთა ნარმაჯება

თელავი. (საკ. კორ.). მეაბრეშუმეთა უმრავლესობა პარკის მოსავლიანობის გეგმას დიდი გადამეტებით ასრ

რით აიხსნება დაბალი მოსავლიანობა

უკანასკნელ სამ წელს საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა ხორბლისა და სიმინდის დაბალი მოსავალი მიიღეს. წლითიწლობით მცირდება ყურძნის მოსავალიც. 1949 წელს ჰექტარ ვენახში მოიყვანეს 39,6 ცენტნერი ყურძენი, 1950 წელს—35,5, 1951 წელს ნაცვლად 44 ცენტნერისა — მხოლოდ 25,6 ცენტნერი. შარშან კარტოფილი ჰექტარზე 120 ცენტნერის ნაცვლად მიღებულია 17,5 ცენტნერი. სოფელ ჭალის, ლიჩისა და კორბოულის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 7-8 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს.

1950 წელთან შედარებით შარშან ოდნავ გაადიდეს ხორბლის მოსავალი სოფელ ჩიხის ჟდანოვის სახელობის, სავანის სტალინის სახელობისა და მერკვეის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობებმა. მაგრამ მცირე მოსავალი მიიღეს სოფელ მოხვის ორჯონიკიძის სახელობის, ცხომარეთის ბერიას სახელობის, ჭალუანის კიროვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა. 1950 წელთან შედარებით მათ ჰექტარზე 0,5 — 1 ცენტნერით შეამცირეს მარცვლეული კულტურების მოსავალი და მხოლოდ 2-3 ცენტნერი მიიღეს.

ასეთი მოსავლის შედეგად კოლმეურნეობაში დაბალია შრომადღის ანაზღაურება.

რა არის ასეთი მცირე მოსავლის მიზეზი? პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის კოლმეურნეობებში ნიადაგი აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად არ მუშავდება. ითქმის ყოველ წელს სამარცხვინოდ ჩანურდება თესვა. შარშან კოლმეურნეობებს საგაზაფხულო თესვა 1 მაისისათვის უნდა დამთავრებინათ, მაგრამ მაისის შუა რიცხვებშიც არ იყო დამთავრებული. ანალოგიური მდგომარეობაა წელსაც—თესვა ძლივს დამთავრდა 25 მაისისათვის. შარშან იმ დროს, როცა სიმინდის თესვის გეგმა ანახევროდაც არ იყო შესრულებული, აღრე ნათესი სიმინდი უკვე სამარგლაური იყო. ასეთ ვითარებაში ნათესების დამუშავება ძალიან დაგვიანდა, ხოლო ზოგან ცუდად შესრულდა. ამ მხრივ დამახასიათებელია სოფელ სარეკის ვოროშილოვის სახელობისა და მოხვის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობების მუშაობა. სოფელ სარეკში თესვა გააჭიანურეს, ამას თოხნის დაგვიანებაც მოჰყვა. რამდენიმე ჰექტარი ცუდად გაიმარგლა, ხოლო 4,5 ჰექტარი სიმინდი გაუმარგლავი დატოვეს. ასევე მოხდა მოხვაში. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ძალიან დაბალი მოსავალი მიიღეს.

კოლმეურნეობებს მტკიცე საკვები ბაზის უქონლობის გამო საკმაო რაოდენობით არა ჰყავთ ჯანსაღი მუშა პირუტყვი. დაუძლურების გამო წელს 150 უღელზე მეტი ხარი არ გამოუყენებიათ. მოხვაში, სარეკში, ცხამში, პეროვში, ნიგვზარაში, ჩონთოსა და ჭალუანში 1 თებერვლიდან მუშა საქონლისათვის დააკლდათ საკვები, რის გამო საქონელს ვეღარ იყენებდნენ.

ნათესების მაღალხარისხოვნად დამუშავებასთან ერთად მოსავლიანობის გადიდების სერიოზული საშუალებაა ნიადაგში სასუქების შეტანა, მაგრამ საჩხერეში ამას ნაკლებად ითვალისწინებენ. სოფელ მოხვის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა შარშან მინერალური სასუქით ნაცვლად 70 ჰექტარისა მხოლოდ 11 ჰექტარი ხორბლის ნათესი გამოკვებეს, ამის შედეგად საშუალოდ ჰექტარიდან 2,2 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. სოფელ პერევის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მინერალური სასუქით ხორბლის ნათესების მესამედიც ვერ გამოკვებეს, ამიტომ იყო, რომ ჰექტარზე სამუალოდ მხოლოდ 1,7 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. ასეთივე მდგომარეობა იყო შომახეთში, ვაკისაში, ჭალუანში და სხვ.

მინერალური სასუქების რაციონალურად გამოყენებას არც წელს აქცევენ სერიოზულ ყურადღებას კორბოულის, ლიჩის, ჩონთოს, ხვანისა და სხვა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები. მათ სასუქი გზაზე დაფანტეს, ხოლო ზოგმა რაიონული ცენტრიდანაც არ წაიღო. ეს მაშინ, როცა აღნიშნული კოლმეურნეობები ავტომანქანებს დანიშნულებისამებრ არ იყენებენ.

დაბალი მოსავლიანობის მიზეზი ისიც არის, რომ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა, სუსტია დისციპლინა, არ იყენებენ შრომის სოციალისტურ მეთოდებს, არ ვრცელდება მოწინავეთა გამოცდილება.

საჩხერეში მეორე წელია არსებობს მანქანა-ტრაქტორთა სადგური. ახალი ტექნიკა მძლავრი საშუალებაა მოსავლიანობის გადიდებისათვის, მაგრამ ეს შესაძლებლობა მთლიანად არ არის გამოყენებული. მტს-ს საკმაოდ არა ჰყავს კვალიფიციური კადრები. ამის გამო ზშირია ტრაქტორების მოცდენა.

მოსავლიანობის გადიდებისათვის სუსტად იბრძვიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ცოტა კეთდება მიჩურინული აგრონომიული მეცნიერების ფართოდ გავრცელებისათვის, მოსავლიანობის ზრდის შესაძლებლობათა მთლიანად გამოყენებისათვის. ეს საკითხები ნაკლებად აინტერესებთ, მაგალითად, სოფელ გორისის კოლმეურნეობის აგრონომს ი. ნასარიძეს და სოფელ კორბოულის შვერნიკის სახელობის მეთესლეობის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსს ნ. ბაქრაძეს. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის მეტი უნდა გააკეთოს შომახეთის ჯიშთა გამოცდის სადგურმა (უფროსი დ. გაჩეჩილაძე).

დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ისიც არის, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები ღრმად ვერ სწვდებიან საკოლმეურნეო ცხოვრების ეკონომიკის საკითხებს, ვერ ახორციელებენ მოსავლიანობის ზრდის ღონისძიებებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ რაიონში არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა. შეისწავლონ თვითეული კოლმეურნეობის მდგომარეობა, უზრუნველყონ მოწინავე საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების უახლეს მიღწევათა განუხრელად განხორციელება. გადაჭრით გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

წერილები რედაქციას

ალვკვეთოთ ვაგონების მოცდენა

ყოველდღიურად ათობით ვაგონი იცლება და იტვირთება სადგურ ნავთლუღში. კლიენტთა ერთი ნაწილი ზუსტად ასრულებს ხელშეკრულებას, თავის დროზე აწარმოებს ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვას, რითაც ხელს უწყობს ვაგონების ბრუნვის დაჩქარებას. მაგრამ ასე არ ითქმის მარგარინის ქარხნის (დირექტორი ამხ. მოისწრაფიშვილი), სოფლმომარაგების რესპუბლიკური კანტორის (დირექტორი ამხ. გოგიბერიძე), ხორცკომბინატის და სხვა საწარმო - დაწესებულებათა შესახებ. ამ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეს და აცდენენ ვაგონებს, რომ არაფერი ვთქვათ იმ ჯარიმაზე, რასაც ისინი რკინიგზას უხდიან ვაგონების გაცდენისათვის, შუშაობის ასეთი მანკიერი პრაქტიკა იწვევს დატვირთვა-გადმოტვირთვის სახელმწიფო გეგმის ჩაშლას.

მაგალითად, გასული ხუთი თვიდან სამ თვეში სადგურს შესრულებული არა აქვს დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმები. ამის ერთერთი და ძირითადი მიზეზი სწორედ ის არის, რომ ზოგიერთმა კლიენტმა უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, ვერ უზრუნველყო ვაგონების დროზე დატვირთვა-გადმოტვირთვა და გაზარდა ვაგონების უმიზეზოდ მოცდენა.

მარგარინის ქარხანამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გადმოტვირთვის გაჭიანურებით გააცდინა 203 ვაგონი, მოცდენის მთელი დრო 3.026 საათს შეადგენს. მან ჯარიმად რკინიგზას გადაუხადა 48.423 მანეთი.

აუცილებელია საწარმო-დაწესებულებათა სამეურნეო ხელმძღვანელებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ ვაგონების უმიზეზოდ მოცდენის აღსაკვეთად.

ინჟინერი ხ. ოქანაშვილი,
რკინიგზის სადგურ ნავთლუღის უფროსის მოადგილე დატვირთვა-გადმოტვირთვის დარგში.

რაგომ გაიაქმეს ჭობისხევის ბაქანი?

სოფელ ჭობისხევში (ბორჯომის რაიონი) დიდი ხანია დაწესებული იყო სამგზავრო მატარებლების გაჩერება. გაურკვეველი მიზეზის გამო ამ რამდენიმე ხნის წინათ ჭობისხევის ბაქანი გაუქმებულ იქნა, იგი სოფლიდან 4 კილომეტრის დაშორებით გადაიტანეს და ჩითახევჰესის ბაქანი უწოდეს, ეს მაშინ როცა, ჩითახევჰესელებს ამ ხაზზე კიდევ აქვთ მეორე ბაქანი.

სოფელ ჭობისხევის მცხოვრებლები ამის გამო სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

საჭირო იქნება ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ კვლავ დააწესოს სოფელ ჭობისხევში სამგზავრო მატარებლების გაჩერება.

ქ. ბარბაქაძე.

რადიოემანატორიის საკითხისათვის წყალტუბოში

წყალტუბოს წყლები მცირე კონცენტრაციის რადონული წყლებია. მაგრამ ძრავალი ავტორის მიერ მოწყობილი ცდებით ვრწმუნდებით, რომ ასეთი წყლების მოქმედება თითქმის არ განსხვავდება ასჯერ და ათასჯერ მეტი კონცენტრაციის რადონული წყლების ფიზიოლოგიური მოქმედებისაგან. სწორედ ამით აიხსნება, რომ სხვა მრავალ დადებით ფაქტორთან ერთად წყალტუბოს წყლებს შესანიშნავი სამკურნალო თვისებები აქვს.

ცნობილია, რომ რადონული წყლისა და ჰაერის აბაზანებში მყოფი ადამიანის ორგანიზმში რადონი შედის უმთავრესად ორი გზით — დიფუზიით და სუნთქვის საშუალებით.

მაგრამ სხვა ერთნაირ პირობებში ჰაერთან ერთად სუნთქვის საშუალებით შესული რადონის რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება დიფუზიის გზით შესულ რადონის რაოდენობას. ამიტომ განსაკუთრებით დიდი სამკურნალო ფაქტორია რადიოემანატორია, ე. ი. ისეთი ჰერმეტული დარბაზი, რომლის ჰაერშიც გარკვეული რაოდენობით შერეულია რადონი, და ასეთი რადონშერეული ჰაერი გამოყენებულია სუნთქვისათვის.

რადიოემანატორია შეიძლება მოეწყოს როგორც უშუალოდ რადიუმიდან მიღებული (წარმოშობილი) რადონის, ისე რადონული წყლებიდან გამოთიშული რადონის გამოყენებით. რადგან წყალტუბო მდიდარია რადონული წყლების დიდი დებიტით, ჩვენ შესაძლებლად ვცანით წინასწარი ცდები გვეწარმოებინა რადიოემანატორიის მოწყობის მიზნით. ამ ცდებმა დადებითი შედეგი გამოიღო.

ცდებს ვაწარმოებდით 1949 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე № 4 წყაროს სააბაზანო დარბაზში. წყლიდან რადონისა და რადონული გაზების გამოთიშვას აბაზანის საჰაერო სივრცეში ვახდენდით წყლის გაშხაპუნებით და წყლის ფენებში ჰაერის ჭავლის გაშვებით.

ცდების შედეგად დარბაზის ჰაერში რადონის კონცენტრაცია აყვანილ იქნა 2,8 მახემდე (მახე არის წყალში და ჰაერში არსებული რადონის კონცენტრაციის საზომი ერთეული). მეცნიერულად კი დამტკიცებულია, რომ ეფექტიანი მკურნალობისათვის ჰაერში რადონის კონცენტრაცია შეიძლება იყოდეს 2-დან 50 მახემდე. ამიტომ ჩვენ მიერ წარმოებული ცდები საბაბს გვაძლევს დავაყენოთ საკითხი წყალტუბოში რადიოემანატორიის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ და ისიც სააბაზანოდ უკვე გამოყენებული წყლებიდან რადონის გამოთიშვის ბაზაზე.

ასეთი რადიოემანატორია უფრო გაამდიდრებს კურორტ წყალტუბოს სამკურნალო ეფექტიანობას და დიდ დახმარებას გაუწევს პირველ რიგში იმ პირთ, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზით არ შეუძლიათ თბილი რადონული აბაზანების მიღება.

ემანატორიის დარბაზი ძალიან მზიანი უნდა იყოს. მოაბაზანეს უნდა შეეძლოს თავის საწოლთან (ან სკამთან) მზის სხივების რეგულირება სათანადო ფარდის საშუალებით.

დარბაზი ჰერმეტიული უნდა იყოს და ყოველი პროცედურის შემდეგ უნდა ხდებოდეს ჰაერის ვენტილაცია. ამონასუნთქავი ნახშირორჟანგის შთანთქმისა და ჰაერის ჟანგბადით გამდიდრების მიზნით დარბაზში საჭირო რაოდენობით უნდა იყოს სხვადასხვა დეკორატიული მცენარე.

დოცენტი ვ. ქათამაძე.

გამოვიყენოთ ბავშვთა საზაფხულო დასვენებისათვის ვაკიჯვარი

სოფელი ვაკიჯვარი თავისი ბუნებრივი მდებარეობით და სიმდიდრით საქართველოში ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. იგი იმყოფება ქალაქ მახარაძიდან ათ კილომეტრზე. გაშენებულია ბახმაროს მთების სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე.

სოფელი მდებარეობს ვაკეზე, რომელსაც ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით აკრავს ჩაის ბუჩქებითა და ციტრუსოვანი მცენარეებით ამწვანებული გორაკები. სოფელს მარცხენა მხრიდან ჩაუდის მთის მდინარე ნატანები. ამ მდინარეში ზაფხულობით შეიძლება ბანაობა, მის ნაპირზე კი მზის აბაზანების მიღება. ამ სოფლის კლიმატური პირობები ჯანმრთელობისათვის მეტად სასარგებლოა. აქ შეზავებულია ბახმაროს მთისა და შავი ზღვის ჰავა.

ვაკიჯვარში ქალაქ მახარაძიდან ზაფხულობით დასასვენებლად ჩამოჰყავთ ქარხნების, ჩაის ფაბრიკების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა ბავშვები. საზაფხულო დასვენებისათვის ვაკიჯვარი შეიძლება გამოიყენონ საქართველოს სხვა კუთხის ბავშვებმაც, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ კურორტთან შედარებით აქ მიმოსვლა უფრო ადვილია.

ინჟინერი შ. ინწკირველი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის მგკივნეული მხარეები“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 1952 წლის 15 მაისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის მუშაობის მტკივნეული მხარეები.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. სამინისტრომ განახორციელა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი ფაბრიკის მუშაობის გასაუმჯობესებლად. კადრებით განმტკიცების მიზნით ფაბრიკაში სამუშაოდ გაგზავნილია 6 ინჟინერი-ფეიქარი.

როდის დამთავრდება ელბაქიძის ხიდის მშენებლობა?

ელბაქიძის ხიდი ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალზეა და აკავშირებს ქალაქის ცენტრის მთავარ უბნებს, სადაც უმთავრესად რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმო-დაწესებულებებია. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, სახელმწიფო გამომცემლობა, პოლიგრაფკომბინატი, უნივერსალური მაღაზია, კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი, სამედიცინო გამომცემლობა და სხვა საწარმო-დაწესებულებები ახლა უხიდობის გამო ფაქტიურად მოწყვეტილი არიან უმოკლესი გზით ქალაქის მარჯვენა მხარეს.

ახალი ხიდის მშენებლობის დაწყებისას ვარაუდობდნენ, რომ ხიდის მშენებლობა თითქოს მალე დამთავრდებოდა, მაგრამ, ჩანს, ეს ვარაუდი არ მართლდება. გაზეთ „კომუნისტში“ ამას წინათ მართებულად იყო აღნიშნული, რომ ამ ხიდის მშენებლობა არაორგანიზებულად და მოუფიქრებლად დაიწყეს. ამას მოწმობს ის, რომ დღემდე შესრულებულია სამუშაოთა მხოლოდ მცირე ნაწილი. ამოსაყვანია ბეტონის ბურჯები, ასაღებია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სახლი, შესასრულებელია მრავალი სხვა სამუშაო.

როგორი ტემპით მუშაობენ ხიდის მშენებლები?

ამჟამად მხოლოდ სათალე ქარგილის გამართვაზე მუშაობენ, ისიც ერთ ცვლად. ექვსის ნახევრის შემდეგ ხიდის მშენებლობაზე არავითარი მუშაობა არ წარმოებს.

თბილისის საბჭოსა და მისი სამშენებლო ტრესტის „თბილისმშენისაგან“ მოვითხოვთ პასუხს: როდის ფიქრობენ ხიდის მშენებლობის დამთავრებას?

ჯერ კიდევ თვეზე მეტი ხნის წინათ გაზეთი „კომუნისტი“ (იხ. № 113), მოითხოვდა რომ მუშა-მოსამსახურეთა ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით თბილისის საბჭოს დაენიშნა ახალი საავტობუსო მარშრუტი ბერიას მოედნიდან რუსთაველის პროსპექტზე გავლით მარჯანიშვილის მოედნამდე, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელობა ამისათვის თავს არ იწუხებს.

აუცილებელია ხიდის მშენებლობის დამთავრებამდე დაინიშნოს საავტობუსო მოძრაობა პირდაპირი მიმართულებით ბერიას მოედნიდან, რუსთაველის პროსპექტის, ჩელუსკინელების ხიდის გავლით მარჯანიშვილის მოედნამდე, რაც ხელს შეუწყობს ამ მხარეზე მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანას.

ვ. გავაშელაშვილი, რ. ხუნდაძე, დ. ქანდელაკი, ვ. ჩხიკვაძე, ვ. გაფურელიძე, ბ. იაშვილი.

დიდი ქართველი პედაგოგი და გამოჩენილი მოღვაწე

(ი. გოგებაშვილის გარდაცვალების 40 წლისთავის გამო)

დიდი ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის. იაკობ გოგებაშვილი საქართველოში პედაგოგიკური მეცნიერების თვალსაჩინო ფუძემდებელია. მან სავსებით სამართლიანად დაიმსახურა პედაგოგიკის კლასიკოსის სახელი.

ი. ს. გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 15 (27) ოქტომბერს სოფელ ყარიანში. თბილისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის სწავლას განაგრძობს თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელსაც 1861 წელს წარმატებით ამთავრებს. უმაღლესი განათლების მისაღებად ი. გოგებაშვილი შედის კიევის სასულიერო აკადემიაში, მაგრამ იქ გამეფებულ საღვთისმეტყველო მიმართულებას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა იგი. ი. გოგებაშვილი სისტემატურად სწრებოდა ლექციებს კიევის უნივერსიტეტში, სადაც განსაკუთრებით იზიდავდა ლექციები საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში. ი. გოგებაშვილი გატაცებით სწავლობს დარვინის ნაწარმოებებს. განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ი. გოგებაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის თხზულებათა საფუძვლიანმა გაცნობამ. ი. გოგებაშვილმა ღრმად შეითვისა პედაგოგიკის კლასიკოსების — კომენსკის, ლოკის, რუსოს, პესტალოცის, დისტერვეგის და განსაკუთრებით უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრებანი.

ი. გოგებაშვილი ჯანმრთელობის შერყევის გამო იძულებული გახდა 1863 წელს სამშობლოში დაბრუნებულიყო. კიევში გატარებულ წლებს მის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ მიიღო მან საფუძვლიანი მომზადება ცოდნის სხვადასხვა დარგში, აქ შეითვისა და სამუდამოდ შეიყვარა მდიდარი რუსული კულტურა, აქ განმტკიცდა მასში აზრი იმის შესახებ, რომ ქართველი ხალხის ბედნიერება და მომავალი განუყრელად არის დაკავშირებული დიდი რუსი ხალხის ბედნიერებასა და მომავალთან; აქ შეისისხლხორცა დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის მოძღვრება.

1864 წელს ი. გოგებაშვილი დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად, ხოლო 1868 წელს—ამავე სასწავლებლის ინსპექტორად. მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა სასწავლებელში გამეფებულ მკაცრ რეჟიმს, მაბეზღარობას, ფიზიკურ დასჯას, იეზუიტურ და სქოლასტიკურ მეთოდებს და ფართო გასაქანი მისცა მოსწავლეთა ინიციატივასა და თვითმოქმედებას, ავრცელებდა მოსწავლეებში დემოკრატიულ იდეებს. მან ჩამოაყალიბა წრეები, დააარსა მოსწავლეთა ჟურნალი „შრომა“ და სხვ. ყოველივე ამის გამო ი. გოგებაშვილმა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მოსწავლეებში, ხოლო დევნა და შევიწროება — მმართველი წრეების მხრივ.

შავრაზმელი რევიზორის კერსკის დასკვნის საფუძველზე ი. გოგებაშვილი 1873 წელს მოხსნილ იქნა სამუშაოდან, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. ამიერიდან გოგებაშვილი არავითარ ოფიციალურ სამსახურში არ შესულა და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მთელ ენერგიასა და ნიჭს აბრძოდა ხალხის უანგარო სამსახურს როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პედაგოგიკის თეორეტიკოსი, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი, პუბლიცისტი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამაარსებელთაგანი და მისი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სულისჩამდგმელი, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე.

ი. გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 14 ივნისს 72 წლის ასაკში. იგი დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. 1940 წლის 27 ოქტომბერს ი. გოგებაშვილის ნეშტი გადაასვენეს მთაწმინდაზე, ილია ჭავჭავაძის საფლავის მახლობლად.

ი. გოგებაშვილის სოციალ-პოლიტიკურ კონცეფციასა და მოღვაწეობაში მთავარი ადგილი უჭირავს, ერთი მხრივ, ცარიზმის მძიმე უღლისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის, მისი ეროვნული უფლების აღდგენისათვის თავდადებულ ბრძოლას, და მეორე მხრივ, მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ქართული კულტურის დაცვისა და აყვავებისათვის დაუცხრომელ ზრუნვას.

ი. გოგებაშვილი კარგად ხედავდა, რომ ცარიზმი თავისი სატრაპებით ქართველი მშრომელი ხალხის, ისევე როგორც თვით რუსი მშრომელი ხალხის მტერი და მჩაგვრელი იყო. ი. გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ ქართველ ხალხს ცარიზმის მძიმე უღლისაგან განთავისუფლება და თავისი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კეთილდღეობის მოპოვება შეეძლო მხოლოდ დიდ რუს ხალხთან ურღვევი ერთიანობისა და ძმობის საფუძველზე. „...უმჯობესი ერთიანობა რუსეთთან — აი ორკეცი დევნი, რომელიც მოისმის ხალხის ცხოვრების სიღრმიდან და რომლისადმი მტკიცე ერთგულება, გონებრივი, ზნეობრივი და მატერიალური წარმატების პირობებში ჩვენს განაპირა მხარეს გადააქცევს ერთ-ერთ მადლიან კუთხედ და ბრწყინვალე მომავალს შეუქმნის მას“, — წერდა ი. გოგებაშვილი ჯერ კიდევ 1877 წელს.

ი. გოგებაშვილი აღიარებდა, რომ ქართველი მშრომელი ხალხი არის ქართველი ერის მამოძრავებელი ძალა, მისი ისტორიის, მისი აწმყოსა და ბრწყინვალე მომავლის შემქმნელი. სწორედ ამან განაპირობა იაკობ გოგებაშვილის ქმედითი ოპტიმიზმი და „უკეთესი მერმისისათვის“ ბრძოლის უნარი. ამ პოზიციებიდან ის ებრძოდა ყოველგვარ გულგატეხილობას და გადაგვარების ტენდენციებს. მუქთახორა თავადაზნაურობას გოგებაშვილი აფასებდა როგორც ერის გამხმარ ტოტებს და თვლიდა, რომ „რაც უფრო ადრე გადაჰკაფავს ცხოვრების ჩარხი ამ გამხმარ ტოტებს, მით უფრო კარგი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის“.

ი. გოგებაშვილის მსოფლმხედველობამ, თავისი დროისათვის ამ პროგრესულ-დემოკრატიულმა შეხედულებებმა, განსაზღვრა მისი პედაგოგიკური მოძღვრების პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულება და შეუნარჩუნა მას აქტუალობა ჩვენი დროისათვის.

ი. გოგებაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა მეფისდროინდელი აღზრდის მთელი სისტემა, ცხადყო მისი ანტიხალხური ხასიათი და აღზრდის ძირითად, წამყვან იდეალად ხალხურობა აღიარა. ამ საფუძველზე, აღზრდის უმთავრეს მიზანს, გოგებაშვილის აზრით, უნდა წარმოადგენდეს „ახალი ტიპის ქართველის“, პატრიოტის აღზრდა, ისეთი პატრიოტისა, „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლოს წარმატების გზაზე გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვით, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მის უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“.

ი. გოგებაშვილი მოითხოვდა საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებასა და გატარებას, კლასიკური განათლების სისტემის რეალურით შეცვლას, მშობლიურ ენაზე სწავლებას, რუსული ენის დაუფლებას მოზარდი ახალგაზრდობისა და მთელი ხალხის მიერ; მშრომელი ხალხისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობის დანერგვას, შრომითი აღზრდის განხორციელებას, ჰუმანიზმის აღზრდას და სხვ. დემოკრატიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული ეს მოთხოვნები ი. გოგებაშვილმა ბრწყინვალედ განახორციელა როგორც თავის პედაგოგიკურ შრომებში, ისე ძვირფას სასკოლო სახელმძღვანელოებსა და მრავალფეროვან საბავშვო მხატვრულ ლიტერატურაში.

პროგრესულ-დემოკრატიული სულისკვეთებით არის გამსჭვალული ი. გოგებაშვილის დიდაქტიკა. ამ მხრივ უმთავრესია მისი მოთხოვნები აღზრდასთან სწავლების შეერთების, სწავლებაში თვალსაჩინოების, შეგნებულობის, მოსწავლეთა აქტივობისა და სხვა მოწინავე პრინციპების დანერგვის შესახებ.

ი. გოგებაშვილი საერთო განათლების სისტემაში უდიდეს ადგილს უთმობდა მშობლიურ ენას. ის სავსებით იზიარებდა კ. დ. უშინსკის იმ აზრს, რომ ისეთი სკოლა, რომელიც აგებული არ არის მშობლიურ ენაზე, „ხალხის ცხოვრებაში ვერ გაიდგამს ფესვებს და ვერ მოუტანს მას სასარგებლო ნაყოფს“ და აღნიშნავდა: „სადაც კი ჭეშმარიტი ლამპარი დანთებულა, დედა-ბოძად მას ჰქონია და აქვს დედა ენა... რომელ ქვეყანაშიაც კი გადაუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონების გახსნის მაგიერ მისი დახშობა მიუღიათ, განათლების მაგიერ — დაბნელება და ზნეობის გაწმენდის და ამაღლების მაგიერ—მისი დაცემა“.

ი. გოგებაშვილის დიდ ისტორიულ დამსახურებას წარმოადგენს მისი სასკოლო სახელმძღვანელოები — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ (1865 წ.), „ბუნების კარი“ (1868 წ.) და „დედა ენა“ (1876 წ.). ამ სახელმძღვანელოების, განსაკუთრებით „დედა ენის“ მაღალ პედაგოგიურ და მეთოდიკურ ღირებულებაზე მეტყველებს არა მარტო ის ფაქტი, რომ ეს წიგნები მრავალი ათეული წლის განმავლობაში წარმოადგენდა შეუცვლელ სახელმძღვანელოებს, რომლებზეც აღიზარდნენ ქართველი ახალგაზრდა თაობები, არამედ, რაც მთავარია, ის, რომ ამ სახელმძღვანელოების მეთოდიკურ პრინციპებს დღესაც წარმატებით იყენებს საბჭოთა პედაგოგიკა.

ილიასთან, აკაკისთან და სხვა დიდ ქართველ მოღვაწეებთან ერთად ი. გოგებაშვილს ღრმად ჰქონდა შეგნებული რუსული ენის დიდი მნიშვნელობა ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის. „რაც შეეხება კერძოდ რუსულ ენასა, ჩვენთვის, ქართველებისათვის, — წერს ი. გოგებაშვილი,—მას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი არის პირველად, სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ქვეშევრდომ ხალხთათვის; მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპიულს განათლებას და რომელსაც მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერის მსოფლიო ენისა; მესამე, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი“. ამიტომ „რუსული ენის ცოდნა დიდი სიკეთეა ყოველი კავკასიელისათვის“. რუსული ენის ეს დიდი მნიშვნელობა კარგად ჰქონდა შეგნებული მთელ ქართველ ხალხსაც, რაც ი. გოგებაშვილმა სავსებით სწორად გამოხატა, როცა აღნიშნა: „ჩვენ ხალხს სურს იცოდეს რუსული ენა. ეს სურვილი, უნდა მართალი ვთქვათ, იმდენად საგრძნობელია, რომ სახალხო სკოლა, რომელშიაც რუსულ ენას ადგილი არ ექნება, ვერ მოიპოვებს ჩვენი ხალხის გულში ხალხის სრულ სიმპატიას“.

ამიტომ ი. გოგებაშვილი მოითხოვს, რომ „რუსული ენა უნდა მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენასა როგორც სკოლაში, ისე სახლობაში და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულად შევითვისოთ ეს ენა და ლიტერატურა“. ი. გოგებაშვილის ეს მოთხოვნები სავსებით ასახულია მის მდიდარ პედაგოგიკურ-მეთოდიკურ შრომებში, რომლებიც ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლებას ეხება. მისი სახელმძღვანელო — „რუსკოე სლოვო“ (1887 წ.) 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე წარმოადგენდა ქართველ მოსწავლეთა საყვარელ წიგნს, რუსული ენის შესწავლის, დიდი რუსი ხალხისადმი, მისი კულტურისადმი სიყვარულის შთანერგვის ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს. ი. გოგებაშვილის მდიდარი პედაგოგიკურ-მეთოდიკური მემკვიდრეობა ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლების დარგში დღესაც ფართოდ არის გამოყენებული.

ი. გოგებაშვილს, როგორც საბავშვო მწერლის კალამს ეკუთვნის მრავალი საბავშვო მხატვრული, ისტორიული და მეცნიერულ-პოპულარული მოთხრობა-ნაწარმოები. „იავნანამ რა ჰქნ

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების პრეზიდიუმის წერილი საფრანგეთის ეროვნული კრებისადმი

ვარშავა, 12 ივნისი. (საკუთარი). დღეს გაიმართა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა საპროტესტო წერილი საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატის ჟაკ დიუკლოს დაპატიმრების წინააღმდეგ, მისი საპარლამენტო ხელშეუხებლობის დარღვევისა და იმის წინააღმდეგ, რომ საპყრობილეში ჩასვეს ფრანგი ხალხის ეს ერთგული შვილი, ხალხთა მშვიდობისა და დემოკრატიული თანაარსებობისათვის მებრძოლი...

ეჭვი არ არის, რომ დეპუტატ ჟაკ დიუკლოს დაპატიმრება არღვევს საფრანგეთის კონსტიტუციის 22-ე მუხლს. ფრანგ პატრიოტთა და მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის — საფრანგეთის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ერთგული მებრძოლის წინააღმდეგ ტერორი ეწინააღმდეგება ფრანგი ხალხის დემოკრატიულ და პროგრესულ ტრადიციებს, წარმოადგენს იმ ძირითად სამოქალაქო უფლებათა და თავისუფლებათა აშკარად და უხეშად დარღვევას, რომლებიც გარანტირებულია 1789 წლის უფლებათა (ადამიანისა და მოქალაქის.—**რედ.**) დეკლარაციით და კვლავ დადასტურებულია საფრანგეთის კონსტიტუციით. საფრანგეთის მთავრობა ამრიგად, ხელს უწყობს იმის, ამერიკელ გამჩაღებელთა აგრესიულ გეგმებს და ერთხელ კიდევ არღვევს კონსტიტუციურ ვალდებულებას, რომლის მიხედვით მან არ უნდა აწარმოოს და, მაშასადამე, არც უნდა მოამზადოს რაიმე ომი აგრესიული მიზნებით და არ უნდა გამოიყენოს თავისი ჯარები სხვა ხალხის თავისუფლების დასათრგუნავად.

ამრიგად, დეპუტატ ჟაკ დიუკლოს დაპატიმრება, უმაგალითო ტერორი ფრანგ პატრიოტთა და მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ დანაშაულია საფრანგეთის კონსტიტუციის წინააღმდეგ, ფრანგი ხალხის ყველაზე ძირითადი ინტერესების წინააღმდეგ, დანაშაულია მშვიდობის წინააღმდეგ.

მთელი ჩვენი ხალხის სახელით, რომლის არჩეული წარმომადგენლები ჩვენ ვართ, ღრმა სიბრძოლო სოლიდარობას და მადლობას ვუცხადებთ დეპუტატ ჟაკ დიუკლოსა და ყველა დევნილ ფრანგ პატრიოტს, დიდ ფრანგ ხალხს. სიტყვას ვაძლევთ ფრანგ ხალხს, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხი მტკიცედ დგას მათთან ერთად დემოკრატიის, პროგრესისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში და რომ ეს სამართლიანი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ვითვალისწინებთ რა დიდ პასუხისმგებლობას, რაც საფრანგეთის რესპუბლიკის ეროვნულ კრებას თავისი ხალხის წინაშე ეკისრება დემოკრატიისა და მშვიდობისათვის, ჩვენ მივმართავთ მას და ვთხოვთ, ყოველი ღონე იხმაროს, რათა შეწყდეს ფრანგ პატრიოტთა და მშვიდობის მომხრეთა დევნა, ყოველი ღონე იხმაროს, რათა ჟაკ დიუკლო და ფრანგი პატრიოტები, რომლებიც ასეთ დევნას განიცდიან, დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნან".

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განკარგულება რესპუბლიკის დაცვის შემდგომ ღონისძიებათა შესახებ

ბერლინი, 12 ივნისი. (საკუთარი). როგორც აღნ-ის საგანგებო გადმოგვცემს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვის შემდგომ ღონისძიებათა შესახებ ასეთი განკარგულება გამოსცა:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესების დასაცავად და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მტრული ელემენტების შემოღწევის შესაძლებლობის აღმოსაფხვრელად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა 1952 წლის 26 მაისის განკარგულების დასამატებლად ადგენს:

1. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსათვის 1952 წლის 26 მაისის განკარგულებით მიცემული დავალება ფართოვდება იმ მიმართულებით, რომ ღონისძიებანი, რომლებიც ამ სამინისტროს უნდა მიიღოს, უნდა გავრცელდეს საერთოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დივერსანტების, ჯაშუშებისა და ტერორისტების შემოღწევის თავიდან ასაშორებლად.

2. ყველა განკარგულება, დებულება და დირექტივა, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად, უნდა გამოიცეს იმის გათვალისწინებით, რომ ამ შემთხვევაში, თუ მიღწეულ იქნება შეთანხმება დემოკრატიულ და შშვიდობიან საფუძველზე გერმანიის გაერთიანების მიზნით სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ, ისინი შეიძლება დაუყოვნებლივ გაუქმდეს.

3. ის, ვინც თავისი მოქმედებით არღვევს ამ განკარგულების I პარაგრაფის თუ 1952 წლის 26 მაისის განკარგულების საფუძველზე მიღებულ განკარგულებებს, დებულებებსა თუ დირექტივებს, ისჯება ორი წლის პატიმრობით და ფულადი ჯარიმით 2.000 მარკამდე ან ერთ-ერთი ამ სასჯელით, თუ სხვა დებულებებით გათვალისწინებული არ არის უფრო მკაცრი სასჯელი.

4. ეს განკარგულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების მომენტიდან.

შეწყდეს პოლიციის უკანონობა საფრანგეთში!

ჟაკ დიუკლოს წერილი საფრანგეთის იუსტიციის მინისტრისადმი

პარიზი, 12 ივნისი. (საკუთარი). გაზეთმა „ლუმანიტემ" დღეს გამოქვეყნა ჟაკ დიუკლოს წერილი იუსტიციის მინისტრის მარტინო-დეტლასადმი. წერილში ნათქვამია:

„ბ-ნო იუსტიციის მინისტრო, მე უკვე მოგმართეთ მოთხოვნით, რათა ყველა პატიმარს, რომელთაც უკანონოდ ედებათ ბრალად „სახელმწიფოს შინაგანი უშიშროების ხელყოფა", მიუყენოთ, როგორც ანდრე სტილსა და მე, რეჟიმი, რომლითაც პოლიტიკური პატიმრები სარგებლობენ. სხვათა შორის ამ რეჟიმს ჩვენდამი იყენებენ არასრულად, კერძოდ იმ მხრივ, რაც მნახველებს შეეხება, და ეს რეჟიმი თქვენი ხელისუფლების დროს ნაკლებ ლიბერალურია, ვიდრე ნაპოლეონ III-ის დროს იყო.

თქვენ ბრალი მიგიძღვით უკანონო მოქმედებაში, რადგან აწესებთ დისკრიმინაციას მოჩვენებითს შეთქმულებაში ბრალდებით დაპატიმრებულთა შორის, როცა ამ შეთქმულების ოდნავი დამამტკიცებელი სამუთის წარმოდგენა არ შეგიძლიათ. ამ პირობებში მე კვლავ მოვითხოვ, რომ პოლიტიკურ პატიმართა რეჟიმი გამოყენებულ იქნას ამ „შეთქმულებაში" ყველა ბრალდებულისადმი, „შეთქმულებაში", რაც არსებობს მხოლოდ პოლიციის მოხსენებებში, რომლებიც გულდასმით შეითხზნილია უკანონიცხვით, რათა შესაძლებლობა მოგეცეთ თავიდან მოიშოროთ პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, რომელთა მოქმედებასაც მთავრობის მიერ განხორციელებული დამღუპველი აქტების წინააღმდეგ თქვენ უფრთხით".

ქაკ დიუკლოსა და ანდრე სტილს აბუჩად იგდებენ

სტილის წერილი საპყრობილე „სანტეს" დირექტორისადმი

პარიზი, 12 ივნისი. (საკუთარი). გაზეთმა „სე სუარმა" გამოაქვეყნა ანდრე სტილის წერილი საპყრობილე „სანტეს" დირექტორისადმი. წერილში ნათქვამია, რომ უკანასკნელი სამი ღამის განმავლობაში ჟაკ დიუკლოსა და ანდრე სტილის საკნები აივსო გაზით, რომელიც ალბათ საკანალიზაციო მილებიდან მოდიოდა.

გაზეთმა „ლუმანიტემ" დღეს გამოაქვეყნა პარიზის საკანალიზაციო ქსელის მუშათა პროფკავშირისა და კომუნალურ საწარმოთა პროფკავშირის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ორივე პროფკავშირი „დიდად აღელვა ცნობამ, რომლის თანახმად საპყრობილე „სანტეში" ჟაკ დიუკლოსა და ანდრე სტილის საკნებში გაზმა შეაღწია. აღგილობრივ მომხდარი გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საპყრობილე „სანტეს" დირექციის განცხადებათა საწინააღმდეგოდ გაზის არავითარი გაპარვა არ შეიძლება მოხდეს საკანალიზაციო მილებიდან".

განცხადება შეიცავს მოთხოვნას — დაუყოვნებლივ გათავისუფლონ დიუკლო და სტილი.

ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობანი შორეულ აღმოსავლეთში

ლონდონი, 12 ივნისი. (საკუთარი). ინგლისური გაზეთები ეხებიან იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ინგლისის თავდაცვის მინისტრის ალექსანდერის გამგზავრებას და აღნიშნავენ, რომ იგი ეპირებს ამერიკელებთან განიხილოს დაზავების შესახებ პანმუნჯონის მოლაპარაკებაში ინგლისის მონაწილეობის საკითხი.

„ივნინგ სტენდარდ" დიპლომატიური მიმოხილველი წერს, რომ ინგლისის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს ამას.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 12 ივნისი. (საკუთარი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 12 ივნისს გამოაქვეყნა ცნობა:

გუშინდელი დღის განმავლობაში კორეის სახალხო არმიის შეუერთებელ ჩინელ მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის გაფფრენებულ იერიშებს ფრონტის ცალკეულ უბნებზე და დიდ ზარალს აყენებდნენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში სახალხო არმიის ნაწილებმა ჩაძირეს მოწინააღმდეგის ერთი ხომალდი და ერთიც დააზიანეს იმის შემდეგ, რაც ეს ხომალდები შეიჭრნენ ვონსანის სანაპირო წყლებში და ბარბაროსულად უშენდნენ მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზურგის მშვიდობიანი დასახლებული პუნქტების დაბომბვასა და ტყვიამფრქვევის დაშენაში.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

გენერალ ნამ ირის განცხადება

პეკინი, 12 ივნისი. (საკუთარი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა კესონდან 11 ივნისს გადმოგვცა:

დღეს სამი დღის შესვენების შემდეგ, რაც თვითნებურად მოაწყეს ამერიკელებმა, რომლებიც თავს არიდებენ მოლაპარაკებას, განახლდა კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების მონაწილე დელეგაციების სრული შემადგენლობის სხდომა.

ამ შესვენების დროს ამერიკელებმა ერთხელ კიდევ მოაწყეს კორეელი და ჩინელი ტყვეების სისხლისღვრა. კორეისა და ჩინელთა დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა შემდეგი ოფიციალური პროტესტი განაცხადა ამ სისხლისღვრის წინააღმდეგ:

„გამოქვეყნებული ჯერ კიდევ არასრული ცნობების თანახმად, 10 ივნისს თქვენ კუნძულ კოჯედოზე მოკალით 31 და დაჭერით 139 ჩვენი ტყვე. ეს თქვენი მხარის ახალი უაღრესად სერიოზული პროვოკაციაა. მე დავალებული მაქვს მტკიცე პროტესტი გამოგიცხადოთ. თქვენ უყურადღებოდ ტოვებთ ჩვენს მრავალ პროტესტსა და გაფრთხილებას, მთელი მსოფლიოს ადამიანთა აღშფოთებას და თქვენი საქციელის დაგმობას და განაგრძობთ ჩვენი ტყვეების ხოცვას. 10 ივნისის ინციდენტი უფრო სერიოზულია, ვიდრე ყველა წინანდელი ინციდენტი. თქვენ ისარგებლეთ მოლაპარაკებაში თქვენ მიერ თვითნებურად მოწყობილი შესვენებით, რათა მოგემზადებინათ და მოგიწყოთ ეს სისხლისღვრა. ეს საკმაო დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ხსენებული ინციდენტი წარმოადგენს წინასწარ მოფიქრებულ გეგმას, რომლის მიზანია დაზავების შესახებ მოლაპარაკების ჩაფუშვა და კორეაში ომის განგრძობა და გაფართოება.

ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვითმენთ თქვენ მიერ ჩვენი ტყვეების გაჟლეტას. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ ეს მკვლელობა, ჯეროვანი პასუხი უნდა მოგვცეთ უკანასკნელი ხოცვა-ჟლეტის შესახებ და უნდა იკისროთ მთელი პასუხისმგებლობა სერიოზული შედეგებისათვის, რომლებიც ამ ინციდენტიდან გამომდინარეობენ".

ამერიკელ ქალთა ორგანიზაციის წერილი ჭრუმენისადმი

ნიუ-იორკი, 12 ივნისი. (საკუთარი). „ამერიკული ეროვნების ქალთა კომიტეტმა" ტრუმენს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დამამტკიცონ ჟენევის 1925 წლის კონვენცია, რომელიც ბაქტერიოლოგიურ ომს კრძალავს.

„ჩვენ ავრეთვე მოგიწოდებთ, — ნათქვამია წერილში, — დაუყოვნებლივ დადოთ ზავი კორეაში და მოითხოვოთ ხუთი დიდი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის — კონფერენციის მოწვევა ყველა საერთაშორისო უთანხმოებისა და დავის მეგობრული და მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის".

„დაუვიწყარი 1819 წლის" ერთგულ მკურნალებს

თბილისის ანატომიური შეადგენ სსრ კავშირის სახალხო artistebi ... ფილმის „დაუვიწყარი 1919 წლის" ქართულად გაზმოვანებას.

ფილმის ქართულად გაზმოვანებაში მონაწილეობენ სტალინური პრემიის ლაურეატები, სსრ კავშირის სახალხო არტისტები მ. გელოვანი, ვ. ანჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები შ. ღამბაშიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. გოგელაური, კ. დაუშვილი, ი. ტრიპოლსკი, სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ობოლაძე, მსახიობები დ. წეროძე, ვ. ნინუა, შ. ბეგიშვილი და სხვ.

ფილმის ქართული ვარიანტის რეჟისორია ზ. ბერიშვილი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსანდრე სიმონის-ძე პანიუშკინი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და გათავისუფლა იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ ვასილის-ძე როშჩინი გათავისუფლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — პარტიული ორგანიზაციები და პროფკავშირები.

საერთო სათაურით „სანმეშოდ ჩავატაროთ პურეულის მკა" წერილები: მ. მაზანაშვილი — პურეულის მკის წინ. ი. ისაკოვი — სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში. დაიწყო თიბვა.

ნ. ნოვიცკი — სტალინგრადი, მშვიდობის ქეჩა.

საბჭოთა კავშირში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი.

საკვლევი უარყოფს.

ლ. აივაზოვი — წლის მეორენახევრის მოკლენაზე.

პატარა ფელეტონი — პრინც მიურატის პულვერიზატორი.

მესამე გვერდი — მ. დავითაშვილი, მ. ტეფლუში — პარადული ხმაურის საფარქვეშ.

მკითხველთა წერილები. რედაქციის ფოსტიდან.

უცხოეთის ინფორმაციები.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1952-53 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს:

1. აგრონომიული ფაკულტეტის: ა) აგრონომიულ, ბ) ნიადაგმცოდნეობის და გ) აგროქიმიის განყოფილებებზე.
2. სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტზე.
3. მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის ფაკულტეტის: ა) მევენახეობა და მეხილეობა-მებოსტნეობის და ბ) მცენარეთა დაცვის განყოფილებებზე.
4. სატყეო მეურნეობის ფაკულტეტზე.
5. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე.
6. მიწათმოწყობის ფაკულტეტზე.
7. ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტზე.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე ასაკისა, რომელთაც დაამთავრეს სრული საშუალო სკოლა ან ჩაბარეს საშუალო სკოლის კურსი ექსტერნატის წესით.

იმ პირთათვის, რომელთაც დამთავრებული აქვთ სპეციალური ტექნიკუმი, სავალდებულოა კანონით გათვალისწინებული სამწლიანი საწარმოო სტაჟი.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით, ან ტექნიკუმი წარჩინების დიპლომით, რომლებიც მოხვედრილი არიან გამოშვების 5 %-ში და შედიან ინსტიტუტში სპეციალობის მიხედვით.

დანარჩენები კი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის ფაკულტეტის განყოფილებებზე: ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), ბ) რუსულ ენაში (წერასა და ზეპირში), გ) ფიზიკასა და დ) ქიმიაში.
2. სატყეო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ჰიდრომელიორაციისა და მიწათმოწყობის ფაკულტეტებზე დამატებით აბარებენ გამოცდას მათემატიკაში (წერასა და ზეპირში).
3. სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტზე გამოცდებს აბარებენ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), რუსულ ენაში (წერასა და ზეპირში). მათემატიკაში (წერასა და ზეპირში), გეოგრაფიასა და სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. აგრონომიულ (კვალიფიკაცია—სწავლული აგრონომი),
2. მებაღეობა-მებოსტნეობის და მევენახეობის (კვალიფიკაცია—სწავლული აგრონომი),
3. სუბტროპიკული მეურნეობის (კვალიფიკაცია—სწავლული აგრონომი),
4. მევენარეთა დაცვის (კვალიფიკაცია—სწავლული აგრონომი),
5. მეაბრეშუმეობის (კვალიფიკაცია—სწავლული აგრონომი),
6. სატყეო-სამეურნეო (კვალიფიკაცია—ტყის მეურნე ინჟინერი).

გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), ბ) რუსულ ენაში (წერასა და ზეპირში), გ) ფიზიკაში, დ) ქიმიაში. სატყეო მეურნეობის ფაკულტეტზე დამატებით აბარებენ მათემატიკაში (წერასა და ზეპირში).

დაუსწრებელ განყოფილებაზე გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი წლოვანების განუსაზღვრელად, ამასთან მიიღებიან მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავენი, რისთვისაც დამატებით ადგენენ ცნობას სამუშაოს შესახებ თანამდებობის აღნიშვნით. ცნობა დამოწმებული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის განყოფილების ან სასოფლო საბჭოს მიერ. მიღების დანარჩენი პირობები იგივეა, რაც დასწრებულთათვის.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე 20 ივნისიდან 30 ივლისამდე და თან დაერთოს შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), პასპორტი (წარმოადგენს პირადად), სამი ფოტოსურათი 3×4 სმ (გადაღებული უქუდოდ), სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების ცნობა.

შენიშვნა: 1. 1941, 1942 და 1943 წლებში გაცემული ატესტატები რეგისტრირებულ უნდა იქნას სათანადო რაიონის განათლების განყოფილებაში.

2. განცხადების შემომტანმა წინასწარ უნდა გაიაროს ინსტიტუტთან არსებული საექიმო კომისია.

მისაღები გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოს. ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

კონსულტაციის მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში ყოველდღე, გარდა კვირისა, 11 საათიდან 5 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 33/35.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წ. 25 ივნისს, დღის 1 საათზე, № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **თამარ ალექსანდრეს ასული ბელინსკაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Учение Бодуена-де-Куртенэ о фонеме".**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი, **დოქტორი ს. ულენტი**, მეცნიერების კანდიდატი, **დოცენტი ვ. ჟიდკო.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 30 ივნისს, დღის 2 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) დისერტაციას დაიცავენ:

1) **ოხსნ ვასილის-ძე ჯავახიშვილი** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„Колоидно-химические особенности сывороточных протеинов крови при диффузных заболеваниях печени и почек".**

ოფიციალური ოპონენტები—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. ი. დიდებულიძე**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პროფესორი **ვ. ს. ასათიანი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. ბ. ფაილოძე.**

2) **გიორგი ევხვეთის-ძე კევლიშვილი**—მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად—თემაზე: **„მახალები ცირკულირებული სისხლის მოცულობის რეგულაციის საკითხისათვის".**

ოფიციალური ოპონენტები — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი **დ. მ. გედევანიშვილი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. ს. ჭეიშვილი.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 10).

საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1952-53 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე (კვალიფიკაცია—სწავლული ზოოტექნიკოსი), 2) ვეტერინარო ფაკულტეტზე (კვალიფიკაცია—ვეტერინარი ექიმი).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა ან ჩაბარეს საშუალო სკოლის კურსი ექსტერნატის წესით.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით, ტექნიკუმის ის კურსდამთავრებულნი, რომელთაც აქვთ დიპლომი წარჩინებით, ითვლებიან გამოშვების 5 %-ში და ინსტიტუტში შედიან სპეციალობის მიხედვით, სამამულო ომის ის მონაწილენი, რომელთაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ წარჩინებით და მიღებული აქვთ ფრიადსნიანი ატესტატი.

დანარჩენები მისაღებ გამოცდებს აბარებენ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ფიზიკაში, ქიმიაში.

განცხადებები მიიღება 21 ივნისიდან 31 ივლისამდე ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე. განცხადება ინსტიტუტში ჩარიცხვის და მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3×4 სმ. ზომისა), პასპორტი (წარმოადგინონ პირადად).

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან.

შენიშვნა: 1941, 1942, 1943 წელს გაცემული ატესტატი რეგისტრირებულ უნდა იქნას სათანადო რაიონის განათლების განყოფილების მიერ. ცნობების და კონსულტაციის მიღება ინსტიტუტში ჩარიცხვის საკითხზე შეიძლება ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში.

ინსტიტუტში შესვლის მსურველმა უნდა გიაროს ინსტიტუტთან არსებული საექიმო კომისია.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 13. ტელეფონი № 3-67-83.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ბიოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წ. 25 ივნისს, დღის 3 საათზე, № 25 აუდიტორიაში (მესამე კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. № 11) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ქეთევან ზაქარიას ასული კლიმიაშვილი-ნუცუბიძისა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბამოკვლების პირობების გავლენა მუხის აბრეშუმმჭამავის ეკოლოგიურ-ფიზიოლოგიური და სამეურნეო სახარგებლო ნიშნებზე".**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი, **დოქტორი ნ. ი. კალაბუხოვი**, დოცენტი, **შ. ღვინეფაძე**, დოცენტი **ლ. კუტუბიძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

15 ივნისს

06.25 — სიმღერები სამშობლოზე; 07.30 — ქართული ხალხური სიმღერები; 09.20 — პოპულარული არიები რუს კომპოზიტორთა ოპერებიდან; 11.10—ქართული ხალხური სიმღერები; 11.30 — „პიონერთა დაფინონს" საკვირაო გამოშვება; 12.15 — კამერული მუსიკის კონცერტი; 16.00 — ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „გლახის ნაამბობის" რადიოინსცენირება; 17.20 —საქართველოს რადიოკომიტეტის ანსამბლის კონცერტი; 17.45—გადაცემა მოსწავლეთათვის ციკლიდან „თეატრალური კვირეული"—თოჯინების ქართული თეატრის სპექტაკლის „დათუნიას ქოხის" მონტაჟი; 18.45—კონცერტი სობინოვის შესრულებით; 20.30—საუბარი: „ინგლისი და სპპარტული ხელშეკრულება ბონთან"; 20.45—რესპუბლიკის სახალხო არტისტის კრავეიშვილის კონცერტი; 21.00—გადაცემა მრეწველობის მუშაკთათვის „მივცეთ მეტი და მაღალხარისხოვანი საშენი მასალა ახალ მშენებლობებს"; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა — დავით კლდიაშვილის მოთხრობის „სოლომონ მორბელაძის" რადიოინსცენირება; 22.50—კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით; 00.05—საესტრადო მუსიკის კონცერტი.

თბილისის ოლქის კინოფიკაციის სამმართველოს ესაჭიროება ინქინერი-მშენებელი

ქალაქ თბილისში სამუშაოდ. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 125, კადრების განყოფილება. ტელეფონი 3-50-25.

კროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის თანამშრომელები იუწყებიან **გვიტი შანყვახ-ძე ჯინჯორიას** გარდაცვალებას.

ოონა, შალვა, ვერა, ლუბა, შურა ჯიქიები, ეროა ჯაოშვილი ოჯახებით იუწყებიან ბიძის **ვასილ შამუგიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VI ხობში.

თბილისის განათლების განყოფილების და პედაგოგიური კაბინეტის სკოლამდელი აღზრდის სექტორის მუშაკები იუწყებიან **ქსენია სპირიდონის ასულ ჯუღელის** გარდაცვალებას.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ეროული და საკონცერტო განყოფილება; **რუსთაველის სახელობის** — უჩა უჩარდია; **მარჯანიშვილის სახელობის**— ლამაზი მამაკაცი; **გრიბოედოვის სახელობის** — — ტოროლები გალობენ (50-ე და 51-ე ამ.); **სომხური დრამის** — ე. სტეპანიანის შემოქმედებითი საღამო; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ძველი ჭრილობა (40-ე ამ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ჭექა-ქუხილი (მე-12 ამ. 10 ს.), ყაჩაღები (მე-3 ამ. 4½ ს.); **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები; **სანკულტურის** — ბედნიერი საპატარძლო.

დღეს კინოებში

„სპარტაკი", „თბილისი", „ამირანი" (ზამთრის) — გაზაფხულის დღეები; **„კომკავშირელი", კიროვის სახელობის** — თქმულება ნადირობაზე; **„ისანი"** — (ზაფხულის) კოტოვსკი, (ზამთრის) გაზაფხულის დღეები; **„დიდუბე"** — (ზაფხულის) შოპენის სიკვდილი, (ზამთრის) ოთხთა გული; **„კოლმეურნე"** — დაუვიწყარი 1919 წელი; **ოფიცერთა პარკი** — საყვარელი არიები; **„ოლსნიდა"** — (ზამთრის) მიგდებული ბავშვი.

ჰ. რატიანი, ჰ. გუჯაბიძე, ე. სეხნიაშვილი, ბ. ბათიაშვილი, ლ. იაკოვლევა, მ. ქურდეფანიძე, ა. გაჩეჩილაძე, გ. ბახტაძე, ო. ბენდუქიძე, გ. ჯიბლაშვილი, ვ.